ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2020 №30 (8294) ფასი: 60 თეთრი

მარტყოფის ღვთაების მონასტერში მამაკაცი მოკლეს

გვ.5

28 იანვრიდან ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ვახტანგ ძაბირაძე: „პროპორციულ არჩევნებში „ოცნება“ მარცხისთვისაა განწირული“

გვ.4

ოპოზიცია ბევრად უფრო ფრთხილი უნდა იყოს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვამჩნევ. ისევ ძველი რიტმით და რეჟიმით მიდიან. ვნახოთ, რა სიახლეები ექნებათ არსენალში.

„ოცნება“ 120 პროპორციულ და 30 მაჟორიტარულ ვარიანტს შემოგვთავაზებს“

მამუკა გამყრელიძე: „ხალხმა უნდა გვაჩვენოს ძალა, მარტო ოპოზიცია ვერაფერს შეცვლის“

გვ.3

გოგი წულაია: „ქართული ოცნება“ თავისი უტიფრობით მოუკრეფავში გადავიდა“

გვ.4

„სავალალო მონაცემები ივანიშვილს გავუგზავნე“

მამუკა ჭუსკაძე: „ირაკლი შოთაძეს ივანიშვილთან შეხვედრა არ ეკრძალება“

გვ.3

შსს-ს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

გვ.2

ISSN 1987-9385

5 „თამთა თოდაძე როცა სვამდა, არაადეკვატური ქცევები ჰქონდა“
ილია ჯიშკარიანის საქმეზე ირმა ჩიკვილაძემ ჩვენება მისცა

2 სენატორი ჯიმ რიში: „ზალკალიანმა მოგვცა გარანტიები, რომ საქართველოში ვითარება შეიცვლება“

5 ერაყის მოქალაქე თავის ქალიშვილებზე სექსუალურ ძმედებებს ახორციელებდა

6 პელოსიმ ტრამპის მოხსენების ტექსტი დახია

სერგი კაპანაძე: „ეუთო/ოდირის დასკვნაში წერია, რომ გერმანული მოდელი შეიძლება პარლამენტმა უბრალო უმრავლესობით მიიღოს“

ეუთო ამ დასკვნაში საუბრობს იმაზე, რომ ეს მოდელი არის სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან და, რაც მთავარია, არც ერთი სიტყვა არ არის ამ მოხსენებაში ნათქვამი, რომ ეს შემოთავაზებული რეფორმა არის არაკონსტიტუციური.

ამის შესახებ განცხადება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ გააკეთა, რომელმაც გუშინ, 5 თებერვალს, პრესკონფერენციაზე გერმანულ მოდელთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის დასკვნის შედეგები გაასაჯაროვა.

სერგი კაპანაძის განმარტებით, ეუთო/ოდირის დასკვნაში წერია, რომ გერმანული მოდელი პარლამენტში შეიძლება მიღებული იქნას ხმების უბრალო უმრავლესობით.

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ცოტა ხნის წინ ოპოზიციურმა პარტიებმა ერთობლივად შესთავაზეს „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული რეფორმის მოდელი მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით.

ეს მოდელი გაგზავნილი იქნა სახალხო დამცველის მიერ ეუთო/ოდირში, საიდანაც სულ ახლახან მივიღეთ დასკვნა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეუთო ამ დასკვნაში საუბრობს იმაზე, რომ ეს მოდელი არის სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც მთავარია, არც ერთი სიტყვა არ არის ამ მოხსენებაში ნათქვამი, რომ ეს შემოთავაზებული რეფორმა არის არაკონსტიტუციური.

ეუთო ამ დასკვნაში საუბრობს იმაზე, რომ ეს მოდელი არის სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, რომ მას არანაირი წინააღმდეგობა არ აქვს არც საერთაშორისო პრაქტიკასთან, რომელიც ევროპაში თუ სადმე სხვაგან არსებობს.

ეუთო ამბობს, რომ ნებისმიერი მოდელი, რომელიც იქნება შეთავაზებული, უნდა იყოს შეთანხმებული მხარეებს შორის და მასზე უნდა არსებობდეს კონსენსუსი ანუ ამბობს სწორედ იმას, რაზეც ამდენი ხნის განმავლობაში საუბრობს ოპოზიცია და რაზეც მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ წამოვიდეს დიალოგზე.

რაც მთავარია, არც ერთი სიტყვა არ არის ამ მოხსენებაში ნათქვამი, რომ ეს შემოთავაზებული რეფორმა არის არაკონსტიტუციური. უფრო მეტიც, ოდირი პირდაპირ ხაზს უსვამს, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული მოდელი, რომელიც გულისხმობს მრავალმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებს, შეიძლება იქნას განხილული, როგორც მაჟორიტარული კომპონენტი საარჩევნო სისტემების.

ოდირი პირდაპირ ამბობს და ამით, პრაქტიკულად, აცლის მთავარ არგუმენტს, რომელიც „ოცნებას“ ჰქონდა, რომ ზოგადად კლასიფიკაცია საარჩევნო მოდელების – შერეული, პროპორციული, მაჟორიტარული თუ სხვა, არ არის კლასიფიცირებული საერთაშორისო სისტემაში, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ რაღაც მოდელია კონსტიტუციაში და შეთავაზება ამას ეწინააღმდეგება იმიტომ, რომ ასე არის მიღებული აპრიორი, არის არასწორი, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მისი თქმით, მოდელთან დაკავშირებით ოდირს აქვს 6 რეკომენდაცია, რომლებიც ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა.

– ჩვენ ვართ მზად, რომ გავაგრძელოთ ამ მოდელზე მუშაობა. უფრო მეტიც, ის რეკომენდაციები, რომელიც ოდირს აქვს გაკეთებული და მას აქვს 6 რეკომენდაცია შემოთავაზებული და ეს 6-ვე რეკომენდაცია არის მეტ-ნაკლებად ტექნიკური ხასიათის და ჩვენ მზად ვართ, ეს 6-ვე რეკომენდაცია გავითვალისწინოთ ჩვენს მომდევნო მუშაობაში.

ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, ამ შემთხვევაში ეუთო/ოდირი, მხარს უჭერს ასეთი ტიპის რეფორმის განხორციელებას. მიიჩნევს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ჩვენ ახლა შეგვიძლია გადავიდეთ პირდაპირ ამის იმპლემენტაციაზე, პარლამენტში გავიტანოთ და მას ვუყაროთ კენჭი, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მამუკა მდინარაძე: „ოპოზიცია სიტყვებით მანიპულირებას ცდილობს“

– საზოგადოებას აინტერესებს, ეუთო/ოდირი ამბობს თუ არა, რომ გერმანული მოდელი არის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში – ასეთი წინადადება მათ ვერ თქვეს და ახლა სიტყვებით მანიპულირებით ცდილობენ.

ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ გუშინ, 5 თებერვალს, გააკეთა.

მისი თქმით, ის, რომ შესაძლოა, არჩევნების გერმანული მოდელი საქართველოს კონსტიტუციას შეესაბამებოდეს, ტყუილია.

– მხოლოდ მათი ბრიფინგი მაქვს ჯერ ნანახი და ბრიფინგიდანვე, ეუთო/ოდირის დასკვნის გაცნობის გარეშეც ჩანს, რომ ისინი აპირებენ ახალი ტყუილი მოახვიონ საქართველოს და ქართულ საზოგადოებას, რის უფლებასაც ნამდვილად არ მივცემთ, იურისტები ვართ და აქაც შეგვიძლია რაღაცების კითხვა.

მთელ საზოგადოებას აინტერესებს, გაგზავნილი იყო თუ არა გერმანული მოდელი ეუთო/ოდირში და ეუთო/ოდირი ამბობს თუ არა, რომ გერმანული მოდელი არის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.

ასეთი წინადადება მათ ვერ თქვეს და ახლა სიტყვების მანიპულირებით ცდილობენ, რომ საქართველოს და ქართველ მოსახლეობას დააჯერონ, რომ გერმანული მოდელი, რომელზეც ლაპარაკობდნენ თვეების განმავლობაში, არის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, რაც შეუძლებელია, რომ სადმე ეწეროს, ასეთ რამეს ვერავინ დაწერდა.

თვეების განმავლობაში კამათი იყო სწორედ ამაზე, რომ თითქოს გერმანული მოდელი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, არის ტყუილი, – განაცხადა მდინარაძემ.

სენატორი ჯიმ რიში: „ზალკალიანმა მოგვცა გარანტიები, რომ საქართველოში ვითარება შეიცვლება“



სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, სენატორ ჯიმ რიშის განცხადებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან მიიღეს გარანტიები, რომ ვითარება შეიცვლება.

ჯიმ რიში ერთ-ერთია იმ სენატორებიდან, რომლებმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას კრიტიკული წერილი გამოუგზავნა და „საქართველოში დემოკრატიის განვითარების შეფერხების“ გამო შეშფოთება გამოთქვა.

რიშთან ექსკლუზიური ინტერვიუ, დავით ზალკალიანთან შეხვედრის შემდეგ, „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ ჩაწერა.

– ქართველები ჩვენი მეგობრები არიან. ეს შესანიშნავი ქვეყანაა, რომელიც გვინდა, რომ წარმატებული იყოს. მე საქართველოში 2012 წელს ვიყავი არჩევნებზე, როგორც ამერიკის მხარის ოფიციალური დამკვირვებელი. ჩვენთვის შთამბეჭდავი იყო, თუ როგორ წარიმართა არჩევნები. ჩვენ გვჯეროდა, რომ მაშინ ხელისუფლება დემოკრატიული მმართველობისთვის საჭირო რეფორმებს გაატარებდა, რომლებიც ხალხს მოეწონებოდა.

თუმცა, ვიხილეთ შემაშფოთებელი ნიშნები. ჩვენ კარგი შეხვედრა გვქონდა, რომელზეც ამ საკითხებზე ვისაუბრეთ და მოგვცეს გარანტიები, რომ ვითარება შეიცვლება. ჩვენ მდგომარეობას დავაკვირდებით. ეს ქართველების ქვეყანაა და მე დარწმუნებული ვარ, ქართველებს სურთ თავისუფალი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა. ამ საქმეში ჩვენ გვინდა მათ გვერდით ვიდგეთ, – განუცხადა სენატორმა რიშმა „ამერიკის ხმას“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკალიანთან შეხვედრის შემდეგ.

სენატორმა აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხთა შორის მომავალი არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარებაც იყო.

– ვისაუბრეთ არჩევნებზე, რომელიც 2020 წლის ოქტომბერში გაიმართება. ქართველი ხალხი გამოხატავს თავის პოზიციას. 2012 წელს, როცა მე საქართველოში ვიყავი, ყველა ფიქრობდა, რომ საკაკაშვილი მოიგებდა და ივანიშვილმა გაიმარჯვა. ქართველი ხალხი თავად იღებს გადაწყვეტილებას და ეჭვიც არ მეპარება, რომ ყველაფერს უფრო ახლოდან აკვირდებიან, ვიდრე ჩვენ, – აღნიშნა სენატორმა.

მიხეილ კალანდიას ფსიქოლოგი სასამართლოში დაიკითხა



ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა.

ბრალდებამ მტკიცებულებების გამოკვლევა და მოწმეების დაკითხვა დაასრულა. დაცვის მხარის მოწმეს, ერთ-ერთი ბრალდებულის, მიხეილ კალანდიას ფსიქოლოგს მოუსმინეს. ადვოკატმა ასევე ვიდეომტკიცებულებებიც წარმოადგინა, რომლებიც მხარეებმა სხდომაზე განიხილეს.

– სასამართლოს განაჩენი, რომელიც დადგა სრულიად უკანონო და უსაფუძვლო 2018 წლის პირველ ივლისს, მხედველობაში მაქვს გუგა ბარბაქაძისა და მიხეილ ჯანაშიას მიმართ დამდგარი განაჩენი, ამ განაჩენმა მიხეილ კალანდიას მდგომარეობა 10-ჯერ უფრო გააუარესა, ვიდრე მანამდე იყო, – განაცხადა კალანდიას ადვოკატმა.

საქმის პროკურორ მირიან მეგრელიშვილის განცხადებით კი, მიხეილ კალანდიას ფსიქოლოგის ჩვენება მის ბრალეულობას ვერც დაადასტურებს და ვერც გამორიცხავს, რადგან ეს მისი პირადი პოზიციაა.

– მან ისაუბრა იმ სტრესის შესახებ, რაც ჰქონდა მიღებული მ.კ-ს და რაც დაადგინა მ.კ.-სთან გარკვეული ფსიქოლოგიური სეანსების შესახებ. ვერ ვიტყვი, რომ მისი ჩვენება რაიმე კუთხით ან ადასტურებდა, ან გამორიცხავდა მ.კ-ს ბრალეულობას, უბრალოდ ექსპერტმა ისაუბრა თავისი პოზიციისა და შთაბეჭდილების შესახებ მ.კ-სთან ურთიერთობის შედეგად, – განაცხადა პროკურორმა მირიან მეგრელიშვილმა.

სტამბოლის აეროპორტში იზმირი-სტამბოლის ბორტი ნაწილებად დაიშალა

გუშინ, 5 თებერვალს, სტამბოლში ავიაკომპანია პეგასუსის თვითმფრინავი ბოინგ 737-800 დაშვებისას ასაფრენი ბილიკიდან გადავიდა და ხევში გადავარდა. თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა და რამდენიმე ნაწილად გაიხლიჩა.

ინციდენტი საბიჰა გოქჩენის სახელობის აეროპორტში მოხდა. თვითმფრინავი იზმირი-სტამბოლის რეისს ასრულებდა.

თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის მეჰმეთ ჯაჰიდ თურჰანის ინფორმაციით, ინციდენტის შედეგად დაღუპულები არ არიან. მისი თქმით, ყველა მგზავრის ევაკუირება დროულად მოხდა.

თვითმფრინავში 117 მგზავრი იმყოფებოდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ მეხანძრეები, სასწრაფო და სამაშველო ჯგუფები. მომხდარის გამო აეროპორტი დროებით დაიხურა.

შსს-ს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები ეწვივნენ. სტუმრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძემ და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მამუკა ჭელიძემ უმასპინძლეს.

შეხვედრაზე მხარეებმა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში არსებულ გამოწვევებსა და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ქართველმა სამართალდამცველებმა თურქ კოლეგებს ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის და გავრცელების წინააღმდეგ მიღწეული შედეგები გააცნეს და საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრის მონაწილეებმა სამომავლო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაზე შეთანხმდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის დელეგაციის წევრები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დირექტორს შეხვდნენ. სტუმრებმა დეპარტამენტის ახალი შენობა და ლაბორატორიები დაათვალიერეს.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ 120 პროპორციულ და 30 მაჟორიტარულ ვარიანტს შემოგვთავაზებს“

მამუკა გამყრელიძე: „ხალხმა უნდა გვაჩვენოს ძალა, მარტო ოპოზიცია ვერაფერს შეცვლის“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ოპოზიციის აქციები, პარლამენტის პიკეტირება გაგრძელდა. რა მოლოდინები გაქვთ, არის ხელისუფლება დათმობაზე წამსვლელი?

– ძალიან ძნელი გასაკეთებელია პროგნოზი. შიგნით სიტუაცია რეალურად ხელში უჭირავს ხელისუფლებას. ვერ ვიტყვით იმას, რომ ძალიან შერყეული აქვს მას მდგომარეობა, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ აკონტროლებს ძალოვან სტრუქტურებს. რაც შეეხება გარედან ზეწოლას, ძალიან სერიოზული ზეწოლაა და მე არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცა მომენტში შეიძლება შეუქმნან პრობლემები ფინანსური კუთხით.

– ზალკანიანმა სენატორებთან შეხვედრისას პირობა დადო, შეიცვლება არსებული სიტუაციაო, რამდენად ელოდებით, რომ რაიმეს შეცვლიან?

– ზალკანიანი რას დაჰპირდება, ეს არავის უნდა აინტერესებდეს. გინდ უთქვამს და გინდ არ უთქვამს. ზალკანიანს საერთოდ ვინ ეკითხება რამეს. აიღეს და დადეს სავარძელში.

აქ მეორე საკითხია და ჩვენ ამაზე გვისაუბრია, რას ნიშნავს ხელისუფლების შეცვლა. „ოცნება“ თუ გადაანაწილებს თავის ძალაუფლებას, ანუ შექმნის ისეთ სიტუაციას, რომ ვერ აიღებს უმრავლესობას პარლამენტში, მაგრამ ვიღაცასთან ერთად მოახერხებს მთავრობის დაკომპლექტებას, დასავლეთში ამას ჩათვლიან ცვლილებად.

– ფიქრობთ, რომ „ოცნებაში“ ამაზე მუშაობენ?

– სწორედ აქ არის ყველაზე დიდი კითხვა. ბიძინა ივანიშვილი არ არის კომბინაციური მოთამაშე. ის ნელნელა თავისას აღწევს. მოხრჩობით და მოგუდვით, მაგრამ მისგან კომბინაციები მე არ მინახავს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გაუჭირდება. შეეცდება, რომ მაინც ბოლომდე აიღოს ყველაფერი. თუ ამის მცდელობა ექნა, მერე მართლა ძალიან ცუდი პროცესი დაიწყება.

– კობახიძე აცხადებს, რომ 60%-ის აღების რესურსი აქვთ. რას ემსახურება მსგავსი განცხადებები?

– გავიხსენოთ 2012 წელი, ძალიან კარგად მახსოვს, როგორ გვაიმედებდა მაშინდელი ხელისუფლება. მაშინ ამბასადორიალზე ვიყავით შეკრებილები და ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი ამბობდა, იმხელა რაოდენობის ხმებს ავიღებთ, რომ ეს ცოტა უხერხულიცაა. აი, ასე იყვნენ დარწმუნებულები, თუმცა რაც მოხდა და რაც აიღეს, კი ვნახეთ.

ჩემი აზრით, ასეთივე განწყობა აქვთ ამათ და ჰგონიათ, რომ ყველაფერს გააკეთებენ. მით უმეტეს, რომ მაშინ დასავლეთიდან არ იყო ასეთი მძაფრი რეაქციები. ახლა უფრო მძაფრია. მაშინ არც ასეთი სოციალური პრობლემები იყო.

ჩვენს ხალხს ძალიან მძიმედ გადააქვს სოციალური პრობლემები. მაშინ გაღიზიანება იყო თავად სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მიმართ. დღეს სულ სხვა ვითარებაა. უკიდურესად მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში.

– ხალხი რომ არ გამოდის, ამას რით ხსნით?

– არ ვიცი, მეც ძალიან ბევრი კითხვა მაქვს ამასთან დაკავშირებით. საზოგადოება არის ორად გაყოფილი. ერთგვარი აპათიაა და ერთგვარი უნდობლობაა თავად ოპოზიციის მიმართაც. ორად არის ჩვენი მოსახლეობა გაყოფილი. ერთი ნაწილი არის ის, რომელსაც უნდა ცვლილებები, მეორე ნაწილი არის, რომელსაც შენარჩუნება უნდა ამ ხელისუფლების. არის კიდევ მესამე ნაწილი, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, რა უნდა! არ მოსწონს არც წინა ხელისუფლება, იმიტომ, რომ ტკივილები განცდილი აქვს მისგან, ამათი ატანის თავიც აღარ აქვს.

ეს მესამე ნაწილი ყველაზე დიდია და ჯერ გაურკვეველია, საით გადაიხრება. სწორედ ეს გაურკვევლები ითამაშებენ ძალიან დიდ როლს ამ არჩევნებში.

– ვისკენ გადავა ეს ხმები?

– არ ვიცი. მე მაინც მგონია, რომ ამ ორ აქტიურ ნაწილს შორის, ვისაც ცვლილება უნდა და ვისაც არ უნდა ცვლილება, მოხდება ერთგვარი შერკინება.

არ მგონია, რომ დათმოს ბიძინამ, რადგან დიდი საშიშროება აქვთ. იმდენად შორს შეტოპეს, რომ ასე მარტივად არ დამთავრდება ყველაფერი. იციან, რომ ციხე არ ასცდებათ, სწორედ ამიტომ გააკეთებენ ყველაფერს, რომ არ დაკარგონ ხელისუფლება. ძალიან ზედმეტი მოსდის ამ ხელისუფლებას, ძალიან. მოსახლეობის ეს ორი აქტიური ნაწილი ძალიან მძიმედ დაეჯახება ერთმანეთს და ეს იქნება ყველაზე ცუდი ჩვენი ქვეყნისთვის. მეც ამის მეშინია ყველაზე უფრო.

– ოპოზიციაც ხომ არ შეუწყობს ხელს ამ დაძაბულობას და დაპირისპირებას საზოგადოების ორ მხარეს შორის?

– დღეს ოპოზიცია ძალიან სწორად მოქმედებს. მოქმედებს ზუსტად ისე, როგორც ეს დასავლეთის თვალში გამოაჩენს კონსტრუქციულ და პასუხისმგებლიან პოლიტიკურ ძალად. ყველაფერი არჩევნებით უნდა გადაწყდეს. თუ არჩევნებზე მოხდება გაყალბება, თუ მაშინ იქნება ზედმეტი ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან, აი, მაშინ უნდა თქვას ხალხმა თავისი სიტყვა. მარტო ოპოზიცია ხომ ვერ შეცვლის ყველაფერს?! ხალხმა უნდა გვაჩვენოს თავის ძალა.

– კობახიძე აცხადებს, დარჩა ოპოზიციასთან მოლაპარაკების რესურსიო. დათმობაზე წასვლას აპირებენ?

– მე არ მგონია, რომ სრულ დათმობაზე წავლენ და სრულად პროპორციულს დათანხმდებიან. შესაძლებელია, რომ რაღაცა კომპრომისული ვარიანტი შემოგვთავაზონ და ეს იქნება 30 მაჟორიტარი და 120 პროპორციული.

– არიან ამაზე წამსვლელი?

– ასეთი ხმები მოდის ჩვენამდე, რომ ამას აპირებენ. აქ უკვე გადასაწყვეტი იქნება ოპოზიციის მხრიდან, რა პოზიცია უნდა დაიჭირონ, კონსტრუქციული პოზიცია და შეთანხმდნენ რაღაცაზე, იმიტომ რომ 75 მაჟორიტარს 30 მაჟორიტარი ნამდვილად ჯობია, თუ თქვან, რომ არა, ჩვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ.

ეს, ჩემი აზრით, არაკონსტრუქციული ქმედება იქნება და დასავლეთის თვალშიც ცუდად გამოჩნდება.

ის შეთანხმება, რაც ახლა იქნება მიღებული, არ უნდა აისახოს 2024 წელზე. 2024 წელს უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციული არჩევნები, როგორც ეს კონსტიტუციაში ჩაიწერა. ხელისუფლებას კი უნდა, რომ 2024 წელიც შერეული იყოს. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

– დარჩა ცვლილების რესურსი ივანიშვილს? სრულიად განახლებულ გუნდს შემოგთავაზებთო.

– რა ცვლილებაზეა ლაპარაკი, ხომ გვაჩვენა უკვე, რომ ახალი ვერ მოჰყავს ვერავინ, მოიყვანა ისევ ღარიბაშვილი, მოჰყავს ისევ შოთაძე. იგივე ხალხის დაბრუნება ხდება, მხოლოდ მათი, ვისაც 100%-ით ენდობა. რაც იმას ნიშნავს, რომ არანაირი რესურსი კადრების სახით არ გააჩნია. მეტიც, ის კარგავს კადრებს. ერთადერთი რესურსი, რომელიც მას აქვს და რომელიც კიდევ დიდხანს ექნება, ეს არის ფული. ჩვენდა სამწუხაროდ, ფული ამ ქვეყანაში ძალიან ბევრს ნიშნავს.

– იმდენად მძიმეა სოციალური ფონი, ისე უჭირს მოსახლეობას, რომ დიდ როლს ითამაშებს მისი ფული? ამის თქმა გინდათ?

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა. მისი მიზანიც ეს იყო მოსვლის დღიდან. ადამიანებს აღარ უნდა ჰქონოდათ აღარანაირი საზრუნავი, გარდა საკვებისა. ის, რაც მე გუშინ და გუშინწინ ვნახე, მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ. ხალხო, ეს ჩვენი გენოფონდია!

– არ შიმშილობენ ბავშვები, არავის უჭირს ამ ქვეყანაშიო.

– უსაზიზღრესი იყო ჩემთვის ამ ყველაფრის მოსმენა. ამის ლაპარაკი როგორ შეიძლება. ან იმის ლაპარაკი როგორ შეიძლება, რაც იმ ორმა ქალბატონმა იკადრა. ყვავილის სახელი რომ ჰქვია...

– ენძელამ?

– დიახ, ენძელამ და გუგულიმ. ასე როგორ უნდა დაეცე. სულ გაჩუმდე, ხომ ჯობია. თქვი, ვწუხვარ და მორჩა. ასე როგორ შეიძლება?! ამ ხალხს რომ ვუყურებ, გაოგნებული ვარ. სრულიად დაკარგული აქვთ ნამუსი, სინდისი, ადამიანობა. აღარ შერჩათ ადამიანის სახე!

– ასე თუ გაგრძელდა, სოციალურ აფეთქებას მივიღებთ?

– აბა მე რას ვამბობ. აქ ხალხმა უნდა გამოაჩინოს თავისი ძალა და თავისი ნება. მარტო პოლიტიკოსების იმედად ნუ არიან. ვიღაცა პოლიტიკოსი რატომ უნდა გჭირდებოდეს იმისთვის, რომ შენი საკუთარი უფლებები დაიცვა?! თუ გაბრაზებული ვარ, თუ მინდა, რომ დავიცვა ჩემი უფლებები, ავდგები და გამოვალ! ამიტომ გადაბრალება მხოლოდ ოპოზიციაზე, მიმაჩნია ამ ხალხის პოლიტიკურ უმწიფრობად.

ეს არის სახელმწიფო და სახელმწიფო ეკუთვნის ხალხს და არა – კონკრეტულ სახელებს და გვარებს!

– საკუთარი როლი ვერ გაითავისეს ქვეყანაში?

– დიახ, ვერც გაითავისეს და ზოგი ამას იყენებს იმისთვის, რომ მერე ადგეს, ფული აიღოს და ყველაფერი დააბრალოს ოპოზიციას. შენი წილი გასაკეთებელი შენ უნდა გააკეთო!

– რა იქნება უახლოეს მომავალში?

– სიმართლე გითხრათ, არ მინდა იმის თქმა, რასაც ველოდები. კარგს არაფერს ველოდები. ძალიან დიდი ბრძოლა მოგვიწევს და სერიოზული დაპირისპირება.

მამუკა ტუსკაძე: „ირაკლი შოთაძეს ივანიშვილთან შეხვედრა არ ეკრძალება“

გულიკო ბალაძე

ვის მისცემს რეკომენდაციას საპროკურორო საბჭო გენერალური პროკურორის პოსტზე დასამტკიცებლად? ამ თემაზე „ახალი თაობასთან“ პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, საპროკურორო საბჭოში გენერალური პროკურორობის მსურველების მოსმენის პროცესი დასრულდა. ყველაზე ხმაურიანი ყოფილი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის მოსმენა იყო, რადგან პროცესში ოპოზიციის წარმომადგენელიც ჩაერთო. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– მე მოვუსმინე ბატონ ირაკლი შოთაძის გამოსვლას. ირაკლი შოთაძემ ნამდვილად მაღალკვალიფიციური პროკურორის შთაბეჭდილება დატოვა. ის ადრეც მაღალკვალიფიციური პროკურორი იყო და ახლაც ჩამოყალიბებული პროკურორია. ამ თვალსაზრისით, მას შეუძლია მართლმსაჯულების სისტემის გამართვა და ღირსეულად მართვა. ის ღირსეულად მართავდა კიდევაც პროკურატურას, რომ არა ოპოზიციურ-პოლიტიკური გადაწყვეტილება ხელისუფლებისა და ირაკლი შოთაძის დროებით ჩამოშორება ამ პროცესებიდან.

– ირაკლი შოთაძის გადადგომა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო?

– დიახ, ირაკლი შოთაძე მაშინ არ უნდა გადამდგარიყო პროკურორის პოსტიდან იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ის პროკურორის პოსტიდან გადადგა. ამიტომ, ვფიქრობ, ის მაღალკვალიფიციური პროკურორია და შეძლებს ღირსეულად გაართვას თავი. იმედია, პარლამენტი მას აირჩევს და მომდევნო 6 წლის განმავლობაში ის პროკურატურას მართლმსაჯულების თვალსაზრისით ნამდვილად ღირსეულ ორგანიზაციად აქცევს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში რა იქნება?

– წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელს, შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოში იქნებიან ადამიანები და ჯანსაღი პოლიტიკური პარტიები (არა ისინი, ვისაც სისხლში აქვს ხელი დაბანილი), რომლებიც შოთაძეზე გავლენას იქონიებენ.

– რა გავლენას?

– თუ მან უღირსად შეასრულა გენერალურ პროკურორზე დაკისრებული მოვალეობა, მიუთითებენ.

– გენერალური პროკურორობის მსურველებიდან სხვა არავინ მოგეწონათ?

– ყველა კანდიდატი ღირსეული იყო. თუმცა, აქ საუბარია იმაზე, ვინ უფრო შეძლებს ამ მძიმე ჭაპანის გაწევას. ვფიქრობ, ირაკლი შოთაძეს შეუძლია გენპროკურორის მძიმე ჭაპანის გაწევა. დიდი ბიოგრაფია და პოლიტიკურადაც მას მხარდაჭერა აქვს. ვფიქრობ, ხელისუფლებამ, მათ შორის, პროკურატურაზეც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

არ შეიძლება ოპოზიციური პარტიის ან წარსულის ორგანიზაციების მხარდაჭერილი, სუსტი უფლებადამცველების პროკურატურაში მიყვანა. უნდა იყოს ირაკლი შოთაძისნაირი კანდიდატურა. მრავალრიცხოვან კანდიდატებს შორის ასეთი ერთადერთი ირაკლი შოთაძეა.

– ის ფაქტი, რომ ის გადადგა მთავარი პროკურორის პოსტიდან, მნიშვნელოვანი არ არის? მაშინ იყო კითხვები კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობების გამოძიებასთან დაკავშირებით, რომ გამოძიება სწორად არ ტარდებოდა. საუბარი იყო მტკიცებულებების განადგურებასა და ვიღაცებისთვის ხელის დაფარებაზე. იმ საქმეზე პროკურორიც დააპატიმრეს და სასჯელიც მოიხადა. თქვენ ამას როგორ უყურებთ?

– სარალიძის საქმეზე ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა სწორედ შოთაძემ აიღო, როდესაც ის გადადგა და ეცადა სასამართლოში პროცესების შემდგომ განვითარებას, საგამოძიებო კომისიის მუშაობას, მიეცათ თავისუფალი მოქმედების საშუალება.

არაფერი განსხვავებული არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ იმ საქმეში კალანდია მოწმე იყო, ახლა კი ციხეშია. შოთაძემ კალანდიასთან დაკავშირებით მაშინაც და ახლაც ალალად განაცხადა (თუ შეიძლება პროკურორი ალალი იყოს, ამ შემთხვევაში ალალად თქვა), რომ ის შეცდომაში შეიყვანეს, როდესაც კალანდიას მიმართ ბრალის აცილებაზე იყო საუბარი. რაც მთავარია, ეს არ წარმოადგენდა გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობას.

– აბა, ვისი პასუხისმგებლობა იყო?

– სხვა პროკურორებისა და გამომძიებლების პასუხისმგებლობა იყო, რომლებიც შეეცადნენ კალანდიასთვის პასუხისმგებლობის არიდებას. დანარჩენი სისხლის სამართლის საქმეში კვალიფიციურად იყო გამოძიებული. ეს დაადასტურა პარლამენტის საგამოძიებო კომისიამაც.

– როგორ დაადასტურა?

– ერთადერთი, კომისიისა და პროკურატურის ძველი გამოძიების შედეგებს შორის განსხვავება კალანდიასთან დაკავშირებით იყო, მაგრამ არა პირადად ირაკლი შოთაძიდან გამომდინარე, არამედ მისი გარემოცვის ბრალეულობით. ისინი იქ აღარ მუშაობენ და, ბუნებრივია, ირაკლი შოთაძეს ამაში ვერავინ დაადანაშაულებს. ამ მიმართულებითაც მართლმსაჯულება აღსრულებულია.

კალანდიას პროცესი მიმდინარეობს, ვფიქრობ, ამ კუთხით სარალიძესთან პიროვნულად და ადამიანურადაც პროკურორი შოთაძე პირნათელია. ამ საქმეზე მის დროს დამდგარი განაჩენი, კალანდიების ნაწილის გარდა, დადასტურდა.

შეცდომისგან დაზღვეული არავინაა. შეცდომა მოუვიდათ, მაგრამ არა შოთაძეს არამედ მისი გარემოცვის წევრებს. ამ საქმეს ამ თვალით უნდა შევხედოთ. ადამიანური თვალით შოთაძემ სარალიძეს გასცა პასუხი, როგორც მამას. მან ყველაფერი იმისათვის გააკეთა რომ საქმეს ნათელი მოჰფენოდა. ამას ბევრი ვერ იზამდა.

– ანუ, გარანტია არის, რომ მომავალში რაიმე გადაცდომა არ ექნება?

– გარანტია იმისა, რომ სადღაც კორუმპირებული გამომძიებელი ან პროკურორი არ გამოიზრდება მის სისტემაში, ამის გარანტია სად არის? შეიძლება, პროკურორი ან გამომძიებელი იყოს კორუმპირებული და რომელიმე საქმის ჩაფარცხვას თუ სხვა მიმართულებით წაყვანას შეეცადოს. ასეთ შემთხვევაში ნორმალური გენერალური პროკურორი დასჯის დამნაშავეებს. გენერალური პროკურორის გენერალური ინსპექცია სწორედ მაგისთვისაა, რომ თავისი თანამშრომლები აკონტროლოს, შეცდომა არ დაუშვან და კორუფციის ჭაობში არ ჩაეფლონ.

ვფიქრობ, შოთაძე ამას შეძლებს. ის ამ დროის განმავლობაში ბევრი ქილიკის ობიექტი გახდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, მას ხინჯი ვერ უპოვეს, ვერც საპროკურორო საბჭოში მოსმენაზე.

– ოპოზიციას სხვა პრეტენზიებიც აქვს.

– სარალიძის საქმის გარდა, მეორე ხინ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ვახტანგ ძაბირაძე: „პროპორციულ არჩევნებში „ოცნება“ მარცხისთვისაა განწირული“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ არჩევნებში „ქართული ოცნება“ 50%-დან 60%-მდე აიღებს და ეს არ არის უტოპიაო. რას ნიშნავს ეს განცხადება?

– საარჩევნო პროცესი დაიწყო და ხელისუფლება აცხადებს, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს. დავმარცხდებითო, ხომ არ იტყოდა. არც ერთი პოლიტიკური ძალა ამას არ ამბობს. თუ იტყოდა, რომ 40%-ს ავიღებთო, ეს ნიშნავდა, რომ ფარ-ხმალს ყრის.

მდინარაძეს სწორი გზავნილი აქვს, სხვაგვარი განცხადების გაკეთება არ შეიძლება. ოპოზიციაც ანალოგიურ განცხადებას აკეთებს, ნებისმიერი სისტემით მოვუგებთო. საარჩევნო კამპანიაში როდესაც შედიხარ, სწორედ ასეთი განცხადება და ასეთი განწყობა უნდა გქონდეს. თუ წინასწარ დაყრი ხელებს, მაშინ რა აზრი აქვს ბრძოლას.

– წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია ეს ყველაფერი?

– რა თქმა უნდა! არაოფიციალურად საარჩევნო კამპანია კარგა ხანია, დაიწყო. ყველა განცხადება სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

– ოპოზიციის აქციებიც?

– რა თქმა უნდა! ძალიან მარტივი ლოგიკაა.

– 60% მაინც რა გზავნილია, რომ უმრავლესობას მოვიპოვებთ, მაგრამ არა საკონსტიტუციოს?

– დიახ, უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობა არც სჭირდებათ. ისე, 60%-ს ან მოიპოვებენ ან არა, მაგრამ თუ დღევანდელ რეალობას შევაფასებთ, მაშინ შანსი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძალაუფლება შეინარჩუნოს, რასაკვირველია, არის. თუმცა, არავინ იცის, როგორ განვითარდება პროცესები და რა გახდება მოტივატორი, ვის მხარეს იქნება გამარჯვება, ძალაუფლება.

– რაზეა ეს დამოკიდებული?

– ბევრ რამეზე, უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ რას იზამს ოპოზიცია. როგორ გავა ის არჩევნებზე, იქნება ერთი დიდი ბლოკი თუ რამდენიმესუბიექტიანი, როგორი საარჩევნო სისტემა იქნება და ა.შ. უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის იმაზეც, როგორ წარმართავენ თუნდაც ამ საპროტესტო აქციებს.

ერთი წლის წინანდელი საპროტესტო აქციების დატვირთვა სულ სხვა იყო. საარჩევნო წელს, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში, აქციის დატვირთვა სულ სხვა არის. ოპოზიცია მაინც ბევრად უფრო ფრთხილი უნდა იყოს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვამჩნევ. ისევ ძველი რიტმით და რეჟიმით მიდიან. ვნახოთ, რა სიახლეები ექნებათ არსენალში.

– ზურაბ ჯაფარიძემ თქვა, მაინც მივიღებთ პროპორციულ არჩევნებსო. რისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ?

– ნეტარ არიან მორწმუნენი! სიმართლე გითხრათ, მიკვირს, რატომ არიან ასე დაჯერებულები, რომ ხელისუფლება წავა პირდაპირ წაგებაზე. როგორც კი ხელისუფლება პროპორციულ საარჩევნო სისტემას მიიღებს, ჩათვალეთ, რომ „ქართული ოცნება“ იმავე დღეს მარცხისთვის არის განწირული. ამიტომ, არ მგონია, ამაზე წავიდნენ. მისთვის გაცილებით ადვილია ე.წ. გერმანული მოდელი მიიღოს, ვიდრე პროპორციული სისტემა. პირდაპირ გეუბნებით, საინტერესო და მოულოდნელი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ პროპორციულ საარჩევნო სისტემას დათანხმდება.

– ოპოზიცია მზად არის, ვადამდელი არჩევნების პირობებშიც, ცხადია, მოქმედი საარჩევნო სისტემით მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და გაიმარჯვოს. ესეც წინასაარჩევნო კამპანიის რიტორიკის ნაწილია?

– დიახ, ესეც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. არც ოპოზიციას აქვს იმის ფუფუნება, რომ თქვას, მოქმედი საარჩევნო სისტემით არჩევნებში დავმარცხდებითო. დღევანდელი რეალობით, „ქართულ ოცნებას“, მიუხედავად იმისა, თუ რა წერილები მოვიდა ვაშინგტონიდან თუ ბრიუსელიდან, ნამდვილად აქვს შანსი, ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაგრამ თუ ოპოზიცია უკეთეს მეთოდებს და გზებს მოძებნის, მაშინ ეს შანსი, რასაკვირველია, მცირდება.

– როგორც ჩანს, ოპოზიცია ისევ იგივეს აპირებს და ეს კვლავ აქციებია.

– ოპოზიციის პროტესტმა, პიკეტირებამ, ბლოკირებამ თუ პროტესტის სხვა ფორმებმა, ერთი წლის წინ სულ სხვა ფასი და სულ სხვა შედეგი დადო, მაგრამ წელს პროტესტის ეს ფორმები იგივე შედეგს ვერ დადებს და ეს უნდა გაიგოს ოპოზიციამ. ოპოზიცია ამბობს, ჯამურად მოვუგებთო, მაგრამ ისე ვერ მოუგებენ, ხანდახან კონსტიტუციაშიც უნდა ჩაიხედონ. ხანდახან პოლიტიკურ სპექტრსაც უნდა გადახედონ. კარგი პროგრამა გვაქვსო, რომ ამბობენ, საქართველოში პროგრამის მიხედვით ვინ აურჩევიათ?! ოპოზიციის ყველაზე დიდი მტერი ის არის, რომ ხალხში მის მიმართ მაღალი ნდობა არ არის. არც „ქართული ოცნების“ მიმართ არ არის მაღალი ნდობა.

– ალბათ ყველაზე არაპროგნოზირებადი არჩევნები გველოდება.

– დიახ, ნამდვილად ასეა. სრულიად განსხვავებული სურათია, გნებავთ 2003 წელთან და გნებავთ 2012 წლის არჩევნებთან შედარებით. არავინ იცის, რა შეიძლება იყოს გადამწყვეტი ამ არჩევნებზე. სრულიად არაპროგნოზირებადი არჩევნებია წინ.

გოგი წულაია: „ქართული ოცნება“ თავისი უტიფრობით მოუკრეფავში გადავიდა“

„სავალალო მონაცემები ივანიშვილს გავუგზავნე“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოება მიიჩნევს, რომ მმართველი პარტიის რეიტინგი მინიმუმამდეა დასული. ხელისუფლებას უმწვავესად აკრიტიკებენ დასავლელი პარტნიორები. „ქართული ოცნების“ სახეები კი ისევ ირწმუნებიან, რომ არჩევნებზე 60%-იანი მაჩვენებლის მიღწევის რესურსი აქვთ. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, გოგი წულაიას.

– ირაკლი კობახიძის თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდი არჩევნებზე განახლებული სახეებით წარდგება. პარტიის პროგრამა-მინიმუმი ყოველი მეორე ხმის მიღებაა.

– ამას კიდევ ამბობს? ადრე ხომ გვითხრეს, 60%-ს ავიღებთო და ისევ დაჟინებით იმეორებენ ამ სისულელეს?! თუ კობახიძე ამ ზღაპრებს არ ეშვება, მაგას დიდი შეფასებაც არ სჭირდება. უბრალოდ ვიტყვი, რომ „ქართული ოცნება“ თავისი უტიფრობით მოუკრეფავში გადავიდა.

ეგენი ხალხში რომ დადიოდნენ, ასეთი გათავხედებულები არ იქნებოდნენ. ქუთაისის მონაცემებით შემიძლია დავამტკიცო, როგორ ეცემა ხალხის ცხოვრების დონზე. წყლის გადაუხდელობის გამო 2017 წელს 5.000 ოჯახს ჰქონდა ჩაჭრილი წყალი, 2018 წელს – 9.000-ს. 2019-ში – უფრო მეტს.

დენზეც ზრდაა. 2016 წელს 12.000-ს ჩაუჭრეს ელექტროენერგია, 2019-ში – 18.000 აბონენტს. ეს ციფრები შევკრიბე და გავუგზავნე ბიძინა ივანიშვილს.

– ბიძინა ივანიშვილს გაუგზავნეთ?

– დიახ. რამდენიმე კვირის წინ პირადად ბიძინა ივანიშვილს ფოსტით გავუგზავნე. ერთი დაბრკოლება შემხვდა – შუშის სასახლეს ზუსტი მისამართი არა აქვს. ქუჩა ცნობილია, მაგრამ მას ნომერი არა აქვს. ალბათ, მიხვდებოდით, რომ წერილზე პასუხი არ მიმიღია.

ციფრები რომ არ შევაგროვოთ, ისედაც ხელისგულზეა ხალხის გაღატაკება. ბაღდათში ორ უფროს ადამიანთან ერთად 4 ბავშვი რომ ცეცხლში ამოიბუგა, იმათ კარგი ცხოვრება ჰქონდათ? მშიერ-მწყურვალი ხალხი იყო, ბავშვებს კი გაუხარელი ბავშვობა ჰქონდათ.

– პარლამენტშიც შეეხნენ ამ ტრაგედიას. რევაზ არველაძემ გამოაცხადა, რომ საქართველოში ბავშვები არ შიმშილობენ.

– ჭაღარა კაცია. არ მინდა რამე ვაკადრო, მაგრამ ამ პარლამენტიდან ბევრია გამოსაყრელი. როგორ შეიძლება არ იცნობდე შენს ქვეყანას და საკუთარი ხალხი გძულდეს.

– კომუნალური გადასახადების გადახდის შეუძლებლობის გარდა, რა პრობლემებს აწყდებით?

– სოციალურ შემწეობებს უხსნიან გაჭირვებულ ოჯახებს. შე ოჯახაშენებულო, ჯერ შეამოწმე და მერე მოუხსენი, თუ მოსახსნელია! ამას ეძახიან შეჩერებას. 3 თუ 4 თვე რომ შეუჩერებ დახმარებას და ხალხი ამას შეეწირება, მშიერი მოკვდება, მერე რაღად უნდა დახმარება აღდგენა!

– უმუშევრობა უდიდეს პრობლემად რჩება. ბევრი დასაქმებულის ხელფასი კი საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალია. ხელისუფლებამ გერმანიისკენ მიგვითითა.

– ეს საშინელებაა. ყველა ადამიანს საკუთარ ქვეყანაში უნდა ცხოვრება. ვიყავი საბერძნეთში, სადაც შევხვდი ქართველ ემიგრანტებს. ძირითადად, ქალებს. ისინი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნიან. ვაი, ასეთ მუშაობას! ისინი წლების განმავლობაში ვერ ხედავენ საკუთარ შვილებს.

აქ კიდევ ერთი უბედურებაა – გაუცხოება. შვილი რომ დედას 10 და 20 წელიწადი ვერ ნახავს, ის მისთვის უცხო ხდება. დედაშვილურ სიყვარულს ერთად ცხოვრება, ერთმანეთზე ზრუნვა და სითბო აძლიერებს. შორს მყოფი დედის მიმართ შვილის დამოკიდებულება მომხმარებლური ხდება. მისთვის დედა ფულის წყაროა.

გერმანიაშიც ერეკებიან ხალხს. ესეც ოჯახების ნგრევა და დასუსტებაა. საქართველოში ოჯახებს მიზანმიმართულად ანგრევენ. სახელმწიფოს სიმტკიცე მყარ ოჯახებზე დგას. ჩვენთან ოჯახები იშლება – დედა და ხანდახან მამაც უცხოეთშია, შვილები კი აქ არიან და ნარკოტიკებს ეჩვევიან, ალკოჰოლს მოიხმარენ. ისინი ხომ საქართველოს მოქალაქეები არიან, ხელისუფლებას ამაზე გული არ უნდა შესტკიოდეს? ისეთი კატასტროფული მდგომარეობაა, არ ვიცი, რა გამოასწორებს ამ სიტუაციას.

– ხელისუფლების შეცვლა ვერ გამოასწორებს?

– ამის გამოსწორებას წლები დასჭირდება. ხელისუფლებაც რომ შეიცვლება, ამას ერთი ხელის მოსმით ვერ უშველიან.

– გენპროკურორობის კანდიდატი, ირაკლი შოთაძე, აღიარებს, რომ ესწრებოდა გახმაურებულ კულუარულ შეხვედრას ივანიშვილთან, ხაზარაძესთან და ჩხარტიშვილთან ერთად. ეს რას ნიშნავს?

– ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ უტიფრობას და თავხედობას. გენპროკურორად ისევ აბრუნებენ შოთაძეს. არავის არაფერს ეკითხებიან. ისიც ნორმალური ჰგონიათ, რომ გენპროკურორი საკითხების განსახილველად არაფორმალურ მმართველთან დადის.

2011 წლის 25 მაისს ნაცმოძრაობის რეჟიმმა სიკვდილს ჩამახედა თვალებში. სააკაშვილმა სხვა ბევრიც დააშავა. ახლა რომ ვუყურებ, „ქართულმა ოცნებამ“ ისე მიჰქარა, რომ იმ რეჟიმს გაუთანაბრდა. ახლა ასეთი სიტუაციაა – ნაცმოძრაობას არა აქვს მორალური უფლება, აკრიტიკოს „ქართული ოცნება“, ხოლო „ქართულ ოცნებას“ არა აქვს მორალური უფლება, ილაპარაკოს ნაცმოძრაობის დანაშაულებზე. უფლება არა აქვთ, მაგრამ მაინც ამათ კინკლაობას ვუყურებთ. სხვებს პოლიტიკაში არ აჭაჭანებენ.

– ისევ ორპარტიულობაა?

– რა თქმა უნდა! სხვა ძალებს პოლიტიკურ ველს არ აკარებენ. არ უნდათ სხვა ძალების აქტიურობა. ოღონდ სხვა არ წარმოჩნდეს, ეგენი თავიანთ გარეწრობასაც აღიარებენ.

– ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა პროტესტი განაახლეს. ამას ექნება აზრი და შედეგი?

– ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. პროპორციული არჩევნების მოთხოვნას ჩვენც ვუერთდებით. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ქართველებმა სისხლი დავღვარეთ. ამას 9 აპრილის გმირებიც შეეწირნენ.

დემოკრატიისთვის დიდად არ გვიბრძოლია. დემოკრატიის რაღაც ნორმები თავისით შემოვიდა. ალბათ, ამიტომაც არ გვაქვს დემოკრატია. ბრძოლა საჭიროა. სამართლიან არჩევნებსაც გამოსვლები უნდა. მსოფლიოში ყველაფერი ბრძოლით მოიპოვებოდა. მაგალითად, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლაში ბევრმა ამერიკელმა თავი გადადო.

დღევანდელი მიღწევები თავგანწირვის შედეგია.

მამუკა ტუსკაძე: „ირაკლი შოთაძეს ივანიშვილთან შეხვედრა არ ეკრძალება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჯად ოპოზიციას ბიძინა ივანიშვილთან ხაზარაძისა და ჩხარტიშვილის შეხვედრაზე შოთაძის ყოფნა მიაჩნია. შოთაძე შემთხვევით იმყოფებოდა იმ შეხვედრაზე, რაც ხაზარაძემაც და ჩხარტიშვილმაც დაადასტურეს. იგივეა, თქვენ სადმე ინტერვიუზე რომ იყოთ და მე შემოვიდე, შეხვედრა მქონდეს დანიშნული.

– თუმცა, ოპოზიციისთვის საეჭვო ისაა, რომ იმ პერიოდში ბიძინა ივანიშვილს არავითარი თანამდებობა არ ეჭირა, ეს კი მთავარი პროკურორი იყო.

– მთავარი პროკურორი სადმე რომ წავიდეს მეგობართან კონსულტაციაზე ან სხვა საქმეზე, ეკრძალება? ის, რომ შოთაძე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე იყო, პრობლემა არ არის, ვინ უკრძალავს? გენერალური პროკურორი ადამიანი არ არის?!

– ოთარ კახიძე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ხაზარაძესა და ჩხარტიშვილს შორის რაღაც საქმის გარჩევას (გარჩევას უწოდებენ) მაშინ მთავარი პროკურორი დაესწრო. შეიძლება ფიქრობენ, რომ ეს იყო ზეწოლის რაღაც მეთოდი.

– არა, რა ზეწოლა უნდა მოეხდინა. ხაზარაძის არავისი ეშინია. ირაკლი შოთაძე იქ იყო არა პროკურორის რანგში, არამედ როგორც მეგობარი, რაღაც პროექტის დაფინანსების სათხოვნელად. თან საუბარი იყო სამოქალაქო და არა სისხლის სამართლებრივ დავაზე. მთავარი პროკურორი იქ ვერავის დაემუქრებოდა. ამიტომ ვფიქრობ, ეს ბრალდება თითიდან გამოწოვილია.

ეს იყო პრობლემის მოგვარება, მედიტაცია. თუ ხაზარაძეს რამე პრეტენზია ჰქონდა, მაშინვე უნდა განეცხადებინა. მან ეს განცხადებები მას შემდეგ გააკეთა, რაც პოლიტიკური საქმიანობის დაწყების შესახებ გვაუწყა. აქ შოთაძის რაიმე ბრალეულობა, სისხლის სამართლებრივი, ან მორალურ- ზნეობრივი, არ იკვეთება.

– შოთაძეს ვრცელი გამოსვლა ჰქონდა, სანამ კითხვებს უპასუხებდა. რას იტყვით?

– მე პირადად შოთაძესთან რა პრეტენზიაც მექნება, ეს არის სამართლიანობის აღდგენა. რაღაც დოზით მაინც, ის პროკურორები უნდა დაისაჯონ, ვინც ყოფილ პატიმრებზე უსაფუძვლო და არა კვალიფიციურ საქმეებს კერავენ.

– თქვენც შეტანილი გაქვთ განცხადება თქვენი საქმის გადასინჯვის თაობაზე?

– ჩემი საქმე ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მიდის, იმდენად რთულია. ჩემი საქმის პროკურორები დღესაც მოქმედი პროკურორები არიან. სანამ არ მოხდება მათი შეცვლა, რთულია, წარსულში პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო დღეს ბრალი წაუყენო, თუმცა უნდა გათავისუფლდნენ

– თხუთმეტი კანდიდატია და მაინცდამაინც შოთაძე რატომ უნდა დაბრუნდეს? სხვა არავინაა?

– სხვაც შეიძლება გახდეს მთავარი პროკურორი.

– თუმცა ბევრი ამბობს, რომ შოთაძეს მისცემენ რეკომენდაციას.

– დიახ, ალბათ, შოთაძეს მისცემენ რეკომენდაციას. ის მათ შორის ყველაზე მეტად კომპეტენტურია, პროკურატურის სისტემაზე ყველაზე მეტი ცოდნა მას აქვს და ხელისუფლების, პოლიტიკური გუნდის ყველაზე ერთგული ის არის.

„თამთა თოდაძე როცა სვამდა, არაადეკვატური ქცევები ჰქონდა“

ილია ჯიშკარიანის საქმეზე ირმა ჩიკვილაძემ ჩვენება მისცა

საკრებულოს ბრალდებული წევრი ილია ჯიშკარიანი 6 თებერვლიდან ბიუროში მისვლას და სამსახურებრივი უფლებამოვალეობის შესრულებას შეძლებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ილია ორკოდაშვილმა გუშინ, 5 თებერვალს, მიიღო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ილია ჯიშკარიანს იმ პირებთან, რომლებიც საქმეზე დასაკითხ მოწმეთა სიაში იყვნენ, კომუნიკაცია ჰქონდა აკრძალული. აღნიშნული პირები სასამართლოში უკვე დაიკითხნენ, რის გამოც, სასამართლომ წინა განჩინება გააუქმა.

– დღეს გაუქმდა ნაწილობრივ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც ილია ჯიშკარიანს ეკრძალებოდა საკუთარ ბიუროში დასაქმებულ პირებთან ურთიერთობა. დაკითხულია სამივე მოწმე, შესაბამისად, ილია ჯიშკარიანი ხვალიდან შეძლებს ბიუროში მისვლას და თავისი შრომითი უფლებამოვალეობის სრულფასოვნად აღდგენას, – განაცხადა ჯიშკარიანის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა.

მან ასევე ისაუბრა თამთა თოდაძის პიროვნებასთან დაკავშირებითაც.

– ერთი ადამიანიც არ მოვა, რომელიც იტყვის, რომ თამთა თოდაძეს იცნობს და ის ნორმალური, დალაგებული, ზრდილობიანი, ადეკვატური და ჩამოყალიბებული აზროვნების ადამიანია და მას არ სურს იყოს ძალიან ცნობადი. რაც ილია ჯიშკარიანის მიმართ გააკეთა, ანალოგიური გააკეთა სხვა სისხლის სამართლის საქმეშიც, ანალოგიურს აკეთებდა ყოველდღიურად ნებისმიერი ადამიანის მიმართ, რომლებთანაც მას რაიმე სახის შემხებლობა ჰქონდა, – განაცხადა კუბლაშვილმა.

გუშინ სასამართლოზე დაიკითხა ილია ჯიშკარიანის ბიუროს თანამშრომელი ირმა ჩიკვილაძე.

– ვატყობდი, რომ თამთა თოდაძე ცოტა არაჯანსაღი ფსიქიკის იყო. ხანდახან უზრდელურად იცოდა ლაპარაკი, როცა სვამდა, არაადეკვატური ქცევები ჰქონდა, – განაცხადა მან.

მოწმის თქმით, გამგეობაში ჯიშკარიანსა და თოდაძეს შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ, არეული ოთახი თავად დაალაგა. როგორც ჩიკვილაძე განმარტავს, იატაკზე პრინტერი, მონიტორი და ნამსხვრევები ეყარა, რაც ნაგავში გადაყარა.

მისივე თქმით, მას ილია ჯიშკარიანმა უთხრა, რომ თამთა თოდაძემ დაალეწა თავზე ნივთები.

– ჩემთვისაც ბევრჯერ მოუყენებია თამთას სიტყვიერი შეურაცხყოფა, ვატყობდი, რომ ცოტა არაჯანსაღი ფსიქიკის იყო. ხანდახან უზრდელურად იცოდა ლაპარაკი. თამთა თოდაძეს ილია ჯიშკარიანთან სტაბილური ურთიერთობა ჰქონდა. რომ სვამდა, არაადეკვატური ქცევები ჰქონდა... “თამთა, შვილო, თამთა, გენაცვალე“, – ასე მიმართავდა ბატონი ილია თამთას. თვითონ თამთაც ბატონობით ესაუბრებოდა. ხშირად ამბობდა თამთა, ჩემი განათლებიდან, პრაქტიკიდან გამომდინარე, არ ვიმსახურებ, აქ ვიჯდეო. ყველასთან ამბობდა, რომ მისი ადგილი პარლამენტში იყო, რომ იმდენი ტანსაცმელი ჰქონდა, ჩვენთან რომ ჩაეცვა, ამას ვერავინ შენიშნავდა, – განაცხადა ჩიკვილაძემ.

კომენტარი გააკეთა თამთა თოდაძის ადვოკატმა თამარ ლუკავამ.

– თუ თამთა თოდაძე არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე იყო, როგორ ანდეს ასეთ ადამიანს სოციალური სამსახურის გამართული მუშაობა? ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებას აძლევენ მოწმეები, – განაცხადა მან ჟურნალისტებთან.

ადვოკატი მოწმე ჩიკვილაძის ჩვენებას გამოეხმაურა.

– რა შეფასება უნდა გავაკეთო იმ მოწმის ჩვენებაზე, რომელიც საუბრობს, თითქოს ალკოჰოლის მიღების ქალის და მამაკაცის დოზა არსებობს. ეს მოწმე არ არის სანდო, რადგან მან თავადაც ახსენა, რომ ძალიან დიდი ხანია იცნობს ილია ჯიშკარიანს და მასთან ურთიერთობა აქვს. მისი სამსახური, შემოსავალი პირდაპირ ბმაშია ილია ჯიშკარიანის თავისუფლებასთან. შესაბამისად, ის მისცემს იმ ჩვენებას, რომელიც ილია ჯიშკარიანის დაცვის მხარეს აწყობს, – განაცხადა ლუკავამ.

მარტყოფის ღვთაების მონასტერში მამაკაცი მოკლეს



გუშინ, 5 თებერვალს, მარტყოფში, ღვთაების მონასტერში მკვლელობა მოხდა. მამაკაცს ჭრილობა ყელის არეში აღენიშნება.

გარდაცვლილი კელიაში ნახეს.

მკვლელობას წინ ორ სამოქალაქო პირს შორის მომხდარი დაპირისპირება უძღოდა.

არც მოკლული მამაკაცი და არც დაპირისპირებაში მონაწილე მეორე ადამიანი სასულიერო პირი არ არის.

– ისინი კელიაში ცხოვრობდნენ, თუმცა სასულიერო პირები არ არიან და მონასტერს სამეურნეო საქმიანობაში ეხმარებოდნენ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ინფორმირებულმა პირმა.

მარტყოფის მონასტერში მომხდარ მკვლელობას მამა ანდრია ჯაღმაიძე ფეისბუქში გამოეხმაურა:

„როგორც ეპარქიიდან შეგვატყობინეს, მარტყოფის ღვთაების მონასტერში მოხდა მკვლელობა. მონასტერს შეფარებული ჰყავს უსახლკაროები და სხვადასხვა სოციალური თუ სამედიცინო პრობლემების მქონე ადამიანები. როგორც აგვიხსნეს, ერთ-ერთმა ფსიქიკურად დაავადებულმა, მონასტერს შეფარებულმა ადამიანმა მოკლა მეორე, მონასტერში დროებით მცხოვრები და გაიქცა მონასტრიდან. საუბარია, რა თქმა უნდა, საერო პირებზე“.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

სტეფანწმინდაში ზვავმა მანქანა ხევში გადააგდო

რუსი ქალი დაიღუპა, 2 ადამიანი გადარჩა

კობი-გუდაურის მონაკვეთზე ზვავის ჩამოწოლის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა. შემთხვევა 4 თებერვალს საღამოს მოხდა.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელიც საკუთარი ავტომობილით იმყოფებოდა კურორტზე, თოვლის მასამ ხევში გადააგდო.

ადგილზე მისული მეხანძრე-მაშველების ინფორმაციით, თოვლის მასის ჩამოწოლის შედეგად ჩავარდნილ სატრანსპორტო საშუალებაში 3 ადამიანი იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია 1 ქალი, რუსეთის მოქალაქე.

„საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლების მიერ ხევიდან ამოყვანილია ორი ადამიანი, რომელთაგან ერთს, საქართველოს მოქალაქეს, აღენიშნება მოტეხილობა, ხოლო მეორე, სომხეთის მოქალაქე, უსაფრთხო ადგილზე გამოყვანილია უვნებლად. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ადგილზე მუშაობდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს და განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს სწრაფი რეაგირების სამაშველო ჯგუფები“ – აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დავით მუმლაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებულებმა ნაფიც მსაჯულებზე უარი თქვეს

35 წლის დავით მუმლაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებულმა ექვსივე ბრალდებულმა საქმის არსებით განხილვაში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობაზე უარი განაცხადა, შესაბამისად მოსამართლემ საქმე არსებითი განხილვისთვის სასამართლოს გადასცა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში დაკავებული ზურაბ ჯღარკავას, გიორგი ასათიანის, დავით მიროტაძის, მიხეილ ღუბიანურის, დიმიტრი დუღაშვილის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით დაკავებული გიორგი გეთაშვილის წინასასამართლო სხდომა გუშინ, 5 თებერვალს, ჩატარდა.

მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა დაცვისა და ბრალდების მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები, მტკიცებულებების დასაშვებად ცნობაზე, სრულად დააკმაყოფილა და საქმე სასამართლოს არსებითი განხილვისთვის გადასცა.

ბრალდებულების ადვოკატებმა მოსამართლის წინაშე, ექვსივე დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შუამდგომლობა დააყენეს, რაც მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა არ დააკმაყოფილა.

დავით მუმლაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებული ექვსი პირის საქმის არსებითი განხილვის სხდომა, რუსთავის საქალაქო სასამართლოში 18 თებერვალს, 15:00 საათზე ჩატარდება.

პოლიციამ დავით მუმლაძის მკვლელობის საქმეზე 5 პირი გასული წლის 7 ოქტომბერს დააკავა, მათ შორის, მოქმედი და ყოფილი პოლიციელები. ზურაბ ჯღარკავაზე კი ძებნა გამოცხადდა, ის სამართალდამცავებმა 2 იანვარს წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან, მდინარის პირას დააკავეს.

დავით მუმლაძისთვის საქმეზე დაკავებულ ზურაბ ჯღარკავას და გიორგი ასათიანს, ჯგუფურად უკანონო თავისუფლების აღკვეთა და განზრახ მკვლელობა ედებათ ბრალად, შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებს დავით მიროტაძე და მიხეილ ღუბიანურს, ასევე ყოფილ სამართალდამცავს დიმიტრი დუღაშვილს ჯგუფურად თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ხოლო გიორგი გეთაშვილს, ბრალი ცრუ ჩვენების მიცემისთვის აქვს წაყენებული.

35 წლის დავით მუმლაძის ცხედარი მდინარე მტკვარმა, რუსთავში 2019 წლის 5 ოქტომბერს გამორიყა. არსებული ინფორმაციით, მას სხეულზე 30-ზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ოჯახი დავით მუმლაძეს 1-ელი ოქტომბრიდან ეძებდა.

მშენებარე კორპუსიდან 2 მუშა გადმოვარდა

1 დაიღუპა, მეორე მძიმე მდგომარეობაშია

გუშინ, 5 თებერვალს, მეტროსადგურ გოცირიძეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფასადე სამუშაოების შესრულებისას კორპუსიდან ორი მუშა გადმოვარდა.

ერთი მათგანი გარდაიცვალა, მეორე კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს უსაფრთხოების წესის დარღვევას სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

ერაყის მოქალაქე თავის ქალიშვილებზე სექსუალურ ქმედებებს ახორციელებდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვანი შვილების მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ფაქტზე ბრალდებული, ერაყის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მ.ა., რომელიც 2013 წლიდან არასრულწლოვან ქალიშვილებთან ნ.ა-სთან და ბ.ა-სთან ერთად საქართველოში ცხოვრობს, 2018 წლიდან მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, აგინებდა და ლანძღავდა, აიძულებდა ემუშავათ და აღებული ხელფასი სრულად გადაეცათ მისთვის.

„სკოლის მოსწავლე ბ.ა. მამის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის, უძილობისა და დაღლილობის გამო მძიმე ფსიქოლოგიურ ტანჯვას განიცდიდა, რის გამოც 2018 წლის ზამთარში, სამსახურში ყოფნის დროს ხელზე სისხლძარღვები გადაიჭრა.

2018 წლის ზაფხულში ბ.ა-მ მამას უთხრა, რომ რესტორანში მუშაობა აღარ შეეძლო გადატვირთული გრაფიკის გამო და სურდა თავი დაენებებინა სამსახურისთვის. პასუხად, მ.ა-მ შვილს მაჯაზე წვერის საპარსი გაუსვა.

2018 წლის სექტემბერში მ.ა-მ თავის ქალიშვილს, ნ.ა-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გოგონა მკურნალობის მიზნით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ 2018 წლის მაისიდან მ.ა. აიძულებდა არასრულწლოვან შვილებს, დამორჩილებოდნენ მას და მათზე სექსუალური ხასიათის ქმედებებს ახორციელებდა, უარის თქმის შემთხვევაში კი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა.

სამართალდამცველებმა მ.ა. 2019 წლის 1 მაისს ქ. თბილისში დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ა. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისში მოპედის ქურდობისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.გ, ქურდობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, თამარ მეფის გამზირზე გაჩერებული, მოქალაქის კუთვნილი მოპედი მოიპარა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავეს, მოპარული მოპედი კი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

ჩადენილი დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

პელოსიმ ტრამპის მოხსენების ტექსტი დახია

– ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ჩვენი საქმეა, ამერიკა პირველ რიგში დავაყენოთ.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კონგრესის წინაშე ყოველწლიური სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ხალხი არის ჩვენი ქვეყნის გული, მისი ოცნებები ჩვენი ქვეყნის სულია, მისი სიყვარული კი ისაა, რაც აძლიერებს და აცოცხლებს ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა ტრამპმა.

სიტყვით გამოსვლის პირველ ნაწილში პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა მისი ადმინისტრაციის მიღწევებზე, მათ შორის შეერთებული შტატების ეკონომიკურ აღმავლობაზე, უმუშევრობის დონის შემცირებაზე.

დონალდ ტრამპის მტკიცებით, მისი გაპრეზიდენტების პერიოდში ქვეყანაში 7 მილიონი სამუშაო ადგილი შეიქმნა. მისივე თქმით, წინა ორი ადმინისტრაციის დროს აშშ-მ 60.000 ქარხანა დაკარგა, მისი გაპრეზიდენტების შემდეგ კი ქვეყანას 12.000 ქარხანა დაემატა.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, დემოკრატმა ნენსი პელოსიმ დონალდ ტრამპის კონგრესში სიტყვით გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტის მიმართვის ტექსტის ასლი დახია.

მანამდე კი, სიტყვით გამოსვლის დაწყებამდე, დონალდ ტრამპმა ნენსი პელოსის ხელი არ ჩამოართვა.

პრეზიდენტის მიმართვა მის წინააღმდეგ მიმდინარე, პელოსის მიერ ინიცირებული იმპიჩმენტის პროცედურის ბოლო ეტაპს ემთხვევა.

დუდა მაკრონს შეხვდა

საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი ვარშავაში ჩავიდა. ის თავის პოლონელ კოლეგა ანჟეი დუდას შეხვდა.

პრესკონფერენციაზე მაკრონმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთი პრორუსული სახელმწიფო არ გამხდარა, მისწრაფება რუსეთთან დიალოგისკენ კი პრაგმატული პოზიციითაა განსაზღვრული.

– საფრანგეთი პროევროპული სახელმწიფოა, – თქვა მაკრონმა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პოლონეთის უსაფრთხოების უმთავრესი გარანტია ნატო. ამას გარდა, მან პოლონეთს რუსეთთან ისტორიულ საკითხებზე დავაშიც მხარი დაუჭირა:

– რუსეთის ისტორიას ურცხვად აყალბებენ, ეს დაუშვებელია, – განაცხადა მაკრონმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთი მუნდიალს მიღმა

საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება არაბულ მედიაში. კერძოდ, ცნობილი ტელეკომპანია ბეინსპორტსი გვამცნობს, რომ მსოფლიოს ანტისადოპინგო კომიტეტის (ვადა) გადაწყვეტილებით, რუსეთის საფეხბურთო ნაკრები მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შეგახსენებთ, მომავალი მუნდიალი 2022 წელს ყატარში გახლავთ დაგეგმილი.

ბეინსპორტსის ტვიტერზე წერია – მსოფლიოს ანტისადოპინგო კომიტეტმა ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა რუსულ მხარეს, სადაც 2022 წლის მსოფლიოს პირველობასთან დაკავშირებულ აკრძალვაზეა საუბარი.

თავად რუსეთისთვის ეს ინფორმაცია ახალი არ არის, მაგრამ როგორც თავად ამბობენ, გადაწყვეტილება მიღებული არ არის და მცდარს უწოდებენ.

დავიწყოთ იმით, რომ რუსებისთვის თავზარდამცემი ამბავი გასული წლის დეკემბერში გავრცელდა. მაშინ ვადას აღმასკომმა ერთხმად დაუჭირა მხარი ორგანიზაციის კომიტეტის რეკომენდაციას, რუსეთის მიმართ სანქციების დაწესების თაობაზე. სასჯელის მიზეზი მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის მიერ მონაცემთა გაყალბება გახლდათ.

რუსებს 4 წლით აუკრძალეს მსხვილ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში (მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში) მონაწილეობის უფლება, კონკრეტულად საფეხბურთო ტურნირებთან დაკავშირებით კი, მაშინვე გაურკვეველი ვითარება შეიქმნა.

ერთია, რუსეთს პრობლემა არ ექნებოდა ევრო 2020-ზე თამაშთან დაკავშირებით, რადგან ფიფასგან განსხვავებით, უეფას ვადასთან ხელშეკრულება არ გააჩნია.

2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების მონაწილეობა კი თავიდანვე კითხვის ქვეშ დადგა. მაშინ ბიბისი წერდა, რომ მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევის შემთხვევაში, რუსები ფინალურ ეტაპზე ნაციონალური სიმბოლიკისა და ჰიმნის გარეშე იასპარეზებდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ბოლოს გავრცელებული ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა რუსული მხარისთვის. ამაზე, მათი პირველი კომენტარებიც მოწმობს. მაგალითად, რუსეთის ანტისადოპინგო კომიტეტის თავმჯდომარე იური განუსმა კონკრეტული ვერაფერი თქვა.

იური განუსი:

– კომენტარის გაკეთება მიჭირს. ამაზე საუბარი ადრეც იყო. წავიკითხე ინფორმაცია, რომ თუკი ვადას 9 დეკემბრის ვერდიქტი სასამართლოს მიერ იქნებოდა გამყარებული, შესარჩევ ციკლში ჩვენი დროშით ვითამაშებდით, ფინალში კი, ეს შეუძლებელი იქნებოდა... ამჟამად, რაიმე ახლის თქმა არ შემიძლია. სჯობს, დამატებით ინფორმაციას დაველოდოთ. ხომ გესმით, ფეხბურთი ძალიან მტკივნეული თემაა, რომელიც ყოველთვის წინა პლანზეა. თუმცა, სხვა სპორტის სახეობებიც დიდი დარტყმის ქვეშ გვყავს, იგივე – მძლეოსნობა.

გავრცელებულ ინფორმაციას სისულელე უწოდა რუსეთის საფეხბურთო კავშირის საპატიო პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა:

– მორიგი აბსურდია, რომელიც დროდადრო ჩნდება. ვადას არ შეუძლია ვინმე მსოფლიოს ჩემპიონატზე არ დაუშვას. ეს მხოლოდ ფიფას კომპეტენციაა. თუკი განცხადებას ფიფა გააკეთებს, სერიოზულად მაშინ ვისაუბროთ. თუკი ამაზე ახლა ვილაპარაკებთ, პრობლემას ჩვენ თვითონ გავაბუქებთ. ჯერჯერობით, ეს ბანალური პროვოკაციაა.

მცირე განცხადებით შემოიფარგლა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესსამსახური:

– ვადასგან 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩვენი ნაკრების სტატუსის შესახებ რაიმე შეტყობინება არ მიგვიღია.

ფეხბურთიდან მძლეოსნობაზე გადავიდეთ... დოპინგთან ბრძოლის დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციისთვის სანქციების გაგრძელების თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა.

განცხადებაში მითითებულია, რომ რუსი მძლეოსნებისთვის ნეიტრალური სტატუსით გამოსვლის ნებართვის განახლების მიზეზსაც ვერ ხედავენ. მეტიც, საუბარია გამოიყენონ ყველაზე მკაცრი სანქციები, მათ შორის მსოფლიო მძლეოსნობიდან რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის სრული გარიცხვა, ასევე მნიშვნელოვანი ჯარიმის დაკისრება და გამოძიების წარმოებისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება.

შეგახსენებთ, რომ შარშან, 21 ნოემბერს საქმიანობას დროებით ჩამოაშორეს იმ ხანად რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი დმიტრი შლიახტინი და ფედერაციის კიდევ 4 თანამშრომელი. მათ ბრალად წაუყენეს საბუთების გაყალბებით ანტისადოპინგო წესების დარღვევა.

ამასობაში შემხვედრი ნაბიჯი გადადგა თავად რუსეთის სპორტის სამინისტრომ, რომელმაც მსოფლიო მძლეოსნობას ამცნო რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციისთვის 2020 წლის 1 მარტამდე სახელმწიფო აკრედიტაციის შეჩერების თაობაზე.

ერდოღანი: „ასადის ძალებმა იდლიბიდან უნდა დაიხიონ“

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი სირიის ასადის რეჟიმს მოუწოდებს, მისმა ძალებმა იდლიბის პროვინციაში განლაგებული თურქული პოზიციებიდან უკან დაიხიონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას თურქეთი თავად გააკეთებს.

– თურქეთის საჰაერო და სახმელეთო ძალები იმოძრავებენ ყველა ოპერატიულ ტერიტორიაზე სირიაში და იდლიბში და ისინი განახორციელებენ ოპერაციებს, თუ ამის აუცილებლობა იქნა, – განაცხადა ერდოღანმა მმართველ პარტიასთან საუბრისას.

მისივე თქმით, სირიის რეჟიმი არღვევს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც ცეცხლის შეწყვეტისთვის იყო მიღებული.

– ორი დღის წინ, ჩვენს ჯარისკაცებზე თავდასხმა იყო ის წერტილი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა, – განაცხადა ერდოღანმა და დასძინა, რომ თუ თურქ ჯარისკაცებს და მათ მოკავშირეებს საფრთხე დამუქრებათ, თურქეთი ყველანაირი გაფრთხილების გარეშე იმოქმედებს.

2018 წელს თურქეთი და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ იდლიბი დეესკალაციის ზონად ჩამოყალიბდებოდა, სადაც სამხედრო მოქმედებები უნდა შეწყვეტილიყო. ანკარამ ბოლო პერიოდის განმავლობაში მოსკოვს არაერთხელ მოუწოდა, შეეჩერებინა მოკავშირე ასადის რეჟიმი.

3 დღის წინ სირიის სამთავრობო ძალებმა იდლიბის პროვინციაში თურქულ პოზიციებზე იერიში მიიტანეს, რომლის დროსაც 6 თურქი ჯარისკაცი დაიღუპა. საპასუხოდ, ანკარამ ასადის ძალების პოზიციებზე საჰაერო და საარტილერიო თავდასხმები განახორციელა.

კორონავირუსი ოლიმპიურ საკვალიფიკაციო ტურნირებს საფრთხეს უქმნის

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების პრეზიდენტის ნენად ლალოვიჩის განცხადებით, აზიის ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი, რომლისთვისაც 27-29 მარტს ჩინეთის სიანს უნდა ემასპინძლა, ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, შესაძლოა გაუქმდეს.

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ვირუსით 5.000-ზე მეტი ადამიანია დაინფიცირებული, ჩინეთის ვუჰანში კი, საიდანაც კორონავირუსი გავრცელდა, 106 ადამიანი გარდაიცვალა.

ნენად ლალოვიჩი:

– შექმნილ მდგომარეობას თვალყურს ვადევნებთ. კავშირზე ვართ ჩინეთის ჭიდაობის ფედერაციასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებთ.

ლალოვიჩის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, აზიის ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირის მასპინძლობისთვის კორეა, ყაზახეთი და უზბეკეთი მზად არიან ჩაანაცვლონ ჩინეთი. მისივე თქმით, ჩინელმა მოჭიდავეებმა შეჯიბრებამდე გარკვეული დრო კარანტინში უნდა გაატარონ.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტურნირი გადაიდო, ეს იქნება მესამე ოლიმპიური საკვალიფიკაციო შეჯიბრება, რომელსაც ამ მოკლე ხანში იგივე ბედი ეწვევა. საქმე ის არის, რომ 30 იანვარს ამერიკის სამოას დედაქალაქ პაგო პაგოში სტარტი უნდა აეღო ოკეანიის ჩემპიონატს მაგრამ მეზობელი სამოადან გავრცელებული წითელას გამო, ასპარეზობა გაუქმდა.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ უჰანს ასევე უნდა ემასპინძლა აზია და ოკეანეთის მოკრივეთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირისთვის (3-14 თებერვალი). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცნობით, მოკრივეთა საკვალიფიკაციო ტურნირი 3-11 მარტს ჩატარდება იორდანიის დედაქალაქ ამანში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბორჯღალოსნები ესპანეთში ჩავიდნენ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები დღეს მადრიდში გაფრინდა, სადაც 2020 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-2 მატჩში ესპანეთს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა პირველ ტურში რუმინეთს 41:13 სძლიეს, ხოლო შეგახსენებთ, ესპანეთმა გასულ უქმეებზე სოჭში რუსეთს 31:12 მოუგო.

საქართველომ და ესპანეთმა ბონუს-ქულების აღებაც მოახერხეს და სატურნირო ცხრილში 5-5 ქულით ლიდერობას ინაწილებენ, თუმცა, დამატებითი მაჩვენებლებით, პირველ ადგილზე მაინც ჩვენი გუნდია.

ბორჯღალოსნების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა უკვე უყურა მომავალი მეტოქის თამაშს და თვლის, რომ შარშანდელთან შედარებით ესპანეთი უკეთესად გამოიყურება:

ლევან მაისაშვილი:

– ესპანეთს, ისევე, როგორც ნებისმიერ გუნდს, თავისი პლუსები და მინუსები აქვს. მოლში აშკარა დომინანტები არიან, შარშანდელთან შედარებით უფრო მეტად არიან შეთამაშებული და დახვეწილი აქვთ სტატიკური ფაზები. ჰყავთ სწრაფი მორაგბეები ხაზში და ცდილობენ არეულ თამაშში იხეირონ. იოლი შეხვედრა ნამდვილად არ გველის.

საქართველოს ნაკრები მოახლოებულ თამაშს დანაკლისით ხვდება. რუმინეთთან მატჩში კოჭი დაიზიანა და მადრიდში ვერ ვიხილავთ გიორგი კვესელაძეს. ტრავმირებულია მირიან მოდებაძეც, რომელსაც მუხლი აწუხებს. საფრანგეთში გაემგზავრა და გუნდს ვერ დაეხმარება კოტე მიქაუტაძე.

ჯერჯერობით უცნობია ითამაშებენ თუ არა ოთარ გიორგაძე და ბექა საღინაძე. გიორგაძე რუმინეთთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, თუმცა ვარჯიშზე კოჭი დაიზიანა და მას შემდეგ მკურნალობს. ერთ-ერთ ვარჯიშზე კუნთი გაიჭიმა ბექა საღინაძემ. ორივე მორაგბე გუნდთან ერთად რჩება და მომავალი შეხვედრისთვის ემზადება, მაგრამ გავლენ თუ არა ისინი მოედანზე, მოგვიანებით გაირკვევა.

შეკრებაზე ერთი ახალი სახეა – ლელო-სარასენსის უკანაზაზელი აკაკი ტაბუცაძე, რომელსაც აქამდე უმცროსი ბორჯღალოსნებისა და 7-კაცას რიგებში უთამაშია.

ლევან მაისაშვილი:

– კვირა დღე აღდგენას დაეთმო და 2 დღე უშუალოდ ესპანეთთან მატჩისთვის ვემზადებოდით. ორშაბათს ვიდეო-ანალიზი გვქონდა და მეტოქის შესახებ სრული ინფორმაცია გვაქვს. სამწუხაროდ, მადრიდში ტრავმების გამო კვესელაძე და მოდებაძე დაგვაკლდებიან, ასევე კოტე მიქაუტაძე, რომელიც პირადი მიზეზების გამო საფრანგეთში გავუშვით. არის რამდენიმე მიკროტრავმა და სამედიცინო შტაბის პასუხს ველოდებით.

ბორჯღალოსნები ესპანეთისთვის ასე გამოიყურება:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), გურამ გოგიჩაშვილი (რასინგი, საფრანგეთი), გიორგი თეთრაშვილი (აჟენი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), ვანო კარკაძე (ბრივი, საფრანგეთი), გიორგი ჭყოიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ლევან ჩილაჩავა (მონპელიე, საფრანგეთი), ბექა გიგაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ნოდარ ჭეიშვილი (ლონდონ სქოთიში, ინგლისი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), დავით გიგაური (კოლომიე, საფრანგეთი), ლაშა ჯაიანი (ექსეტერის უნივერსიტეტი, ინგლისი), ბექა გორგაძე (ბორდო, საფრანგეთი), ბექა საღინაძე (ორიაკი, საფრანგეთი), გიორგი ცუცქირიძე (ორიაკი, საფრანგეთი), ოთარ გიორგაძე (ბრივი, საფრანგეთი), მიხეილ გაჩეჩილაძე (ენისეი, რუსეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი);

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, საფრანგეთი), გელა აფრასიძე (მონპელიე, საფრანგეთი), გიორგი ბეგაძე (ჯიქი), ლაშა ხმალაძე (ბათუმი), თედო აბჟანდაძე (ბრივი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), თამაზ მჭედლიძე (რუანი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ვვა, რუსეთი), ზურაბ ძნელაძე (ლოკომოტივი), ალექსანდრე თოდუა (ბათუმი), აკაკი ტაბუცაძე, დემურ თაფლაძე, სოსო მათიაშვილი (ყველა ლელო-სარასენსი).

საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებთა შეხვედრა კვირას, 9 თებერვალს 15:45 საათზე დაიწყება.

p.s. აქვე გეტყვით, რომ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, 18 ივლისს, ნელსონ მანდელას დაბადების დღეს, „ბორჯღალოსნებისა“ და „სპრინგბოკის“ ტესტ-მატჩი პორტ-ელიზაბეტში, „ნელსონ მანდელა ბეი სთედიუმზე“ გაიმართება.

მსოფლიოს ჩემპიონმა სამხრეთ აფრიკამ 2020 წლის საშინაო მატჩების (ტესტების და 4 ერის) მასპინძელი ქალაქები დაასახელა. სამხრეთ აფრიკასთან ბორჯღალოსნები პირველ, ისტორიულ ტესტს გამართავენ და ნელსონ მანდელას ხსოვნის პატივსაცემად, მას მისი სახელობის სტადიონი უმასპინძლებს.

„ნელსონ მანდელა ბაი სთედიუმი“ 2010 წელს გაიხსნა და 48.000 მაყურებელს იტევს. ცნობილია, რომ პორტს-ელიზაბეტში „სპრინგბოკის“ შეხვედრები მუდამ სავსე ტრიბუნების წინაშე იმართება და სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირში დარწმუნებულნი არიან, რომ ამჯერადაც ასე იქნება.

ბორჯღალოსნებს სამხრეთ აფრიკასთან აქამდე ერთხელ, 2003 წლის მსოფლიო თასზე უთამაშია. ამ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა პირველი ლელო გაიტანა მსოფლიო თასზე. თავი დავით დადუნაშვილმა გამოიჩინა, შეხვედრა კი მეტოქემ 46:19 მოიგო. „ბოკეს“ 18 ივლისს პირველად შეეხვდებით მსოფლიო თასს მიღმა.

შედეგები

4 თებერვალი

ფეხბურთი

ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა

არგენტინა-ურუგვაი	3:2
ბრაზილია-კოლუმბია	1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლილი-რენი	1:0
მონაკო-ანჟე	1:0
ნანტი-პსჟ	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	23	19	1	3	59-15	58
2.მარსელი	22	12	7	3	30-21	43
3.რენი	23	12	4	7	29-22	40
4.ლილი	23	11	4	8	27-25	37
5.მონპელიე	22	9	6	7	30-26	33
6.ლიონი	22	9	5	8	35-21	32
7.რეიმსი	22	8	8	6	21-15	32
8.ნიცა	22	9	5	8	32-30	32
9.მონაკო	23	9	5	9	38-39	32
10.ნანტი	23	10	2	11	22-24	32
11.ბორდო	22	8	6	8	30-24	30
12.სტრასბური	22	9	3	10	27-28	30
13.ანჟე	23	8	6	9	24-30	30
14.ბრესტი	22	7	7	8	28-30	28
15.სტ.ეტიენი	22	8	4	10	25-35	28
16.მეცი	22	6	8	8	22-29	26
17.დიჟონი	22	6	6	10	19-24	24
18.ამიენი	22	4	7	11	24-41	19
19.ნიმი	22	4	6	12	19-36	18
20.ტულუზა	22	3	4	15	21-47	13

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ვალანსიენი-გენგამი	0:0
კაენი-ნიორი	4:3
ლანსი-ტრუა	1:0
ლორიანი-ლე	მანი 4:2
ნანსი-სოშო	1:1
ორლეანი-როდეზი	1:2
ოსერი-კლერმონი	0:0
პარიზი-აიაჩო	2:3
შატორუ-შამბლი	0:3

ბარსელონაში დაძაბული სიტუაციაა

საფეხბურთო კლუბ ბარსელონაში დაძაბული სიტუაციაა. გუნდმა ჯერ მწვრთნელი შეცვალა, რასაც არცთუ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყვა, ბოლოს კი ერთმანეთს გუნდის სპორტული დირექტორი ერიკ აბიდალი და კატალონიური კლუბის ლიდერი ლეო მესი დაუპირისპირდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ სტრიქონების კითხვისას, აბიდალი, შესაძლოა, ბარსელონაში აღარც მუშაობდეს.

ყველაფერი აბიდალის ინტერვიუს მოჰყვა. ფრანგმა სპეციალისტმა მწვრთნელის შეცვლის მიზეზებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ერნესტო ვალვერდეს გათავისუფლების გადაწყვეტილებამდე მისვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფეხბურთელებით უკმაყოფილება იყო.

ერიკ აბიდალი:

– თამაშებს ვუყურებდი, მხოლოდ შედეგი არ მინახავს. ვაკვირდებოდი ტაქტიკას, თამაშის სტილს და ფეხბურთელების მუშაობას, რომლებიც ბევრს არ თამაშობდნენ. ამ დეტალებს ვუყურებდი. ბევრი მათგანი თავისი მდგომარეობით კმაყოფილი არ იყო, ზოგი კი საკმარისად არც შრომობდა. კლუბის შიგნით კომუნიკაციის პრობლემა იყო.

გასახდელში მწვრთნელისა და ფეხბურთელების ურთიერთობა ნორმალური იყო, მაგრამ არის რაღაცები, რასაც, როგორც ყოფილი ფეხბურთელი, ყნოსვით აღვიქვამ. კლუბს გავაცანი, რას ვფიქრობდი და ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ, რაც ადვილი არ იყო. ვალვერდეს გაშვებისთვის ნიადაგის მომზადება „ელ კლასიკოს“ შემდეგ დავიწყეთ.



რაც შეეხება სეტიენს, ვფიქრობ, რომ აქვს ის დეენემი, რომელიც ჩვენ გვჭირდება. მასთან კომუნიკაცია უფრო ბუნებრივია და გუნდი თავს ერთიანად გრძნობს.

სწორედ ამ ინტერვიუმ გააბრაზა მესი. ალბათ, ძნელია გავიხსენოთ შემთხვევა, როდესაც არგენტინელ შემტევს გუნდში არსებულ სიტუაციაზე საჯაროდ უსაუბრია. სავარაუდოდ, ასეთი რამ პირველად მოხდა – ბარსელონას კაპიტანი მის ყოფილ თანაგუნდელსა და ამჟამად კლუბის სპორტულ დირექტორს ღიად დაუპირისპირდა.

მესიმ გააკეთა ის, რაც მას არ სჩვევია – სოციალურ ქსელ ინსტაგრამში აბიდალის ციტატა მონიშნა და მინაწერი გაუკეთა:

– გულახდილად რომ ვთქვა, მსგავსი რამის კეთება არ მიყვარს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენგანმა პასუხისმგებლობა იმაზე უნდა ავიღოთ, რაც გვავალია. ფეხბურთელებმა იმაზე, რაც მოედანზე ხდება და უპირველესად ჩვენ თავად ვაღიარებთ, როდესაც ამას კარგად ვერ ვაკეთებთ. ვისაც სპორტული მენეჯმენტის მიმართულება აბარია, მათ თავიანთი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ და უპირველესად ის საქმე აკეთონ, რაც ევალებათ. ბოლოს, ვფიქრობ, რომ როდესაც ფეხბურთელებზე ვსაუბრობთ, კონკრეტული სახელები უნდა ვახსენოთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ბინძურ სახეს იღებს და ვახალისებთ იმას, რაც სიმართლე არაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

სოფელ ბეშთაშენის მოსახლეობა, მეზობლები მწუხარებას გამოთქვამენ სოფლის მოამაგე, გულისხმიერი, ღვაწლმოსილი ქალბატონის

ელენა (ლენა) ნიკოლოზის ასულ ბილიანოვას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ დებსა და ახლობლებს.

დაკრძალვა: 8 თებერვალს, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეშთაშენში.

ნინო ფრანგულაშვილი-იორამაშვილის მარადიული ხსოვნისადმი

ჩემო რამაზ!

ძვირფასო მეზობელო, ღირსეულო მამულიშვილო, სამაგალითო მეუღლევ და მამავ, უსაზღვროდ დამწუხრებული გითანაგრძნობ მწარე განსაცდელში მყოფს. რა სიტყვა ვპოვო, ფრთამოტეხილ მამას, უდედოდ დარჩენილ მარის და სერგის ნატკენ გულს მალამოდ რომ დაედოს, როცა თავად გული ბუდეში ვერ ჩამისვამს, ჩემ თვალწინ გაზრდილ, საკუთარი ქალიშვილის დარად ნაფერებ ნინოს, უდროოდ რომ უღალატა გულმა. თავზარდაცემული ვაკოწიწებ სიტყვებს, მისი კეთილი სულის მოსაფერებლად.

ინებოს ღმერთმა, ცალუღელში შებმულმა შეძლო ოჯახური ტვირთის ზიდვა შვილების საიმედოდ.

ჩემო საყვარელო ნინო!

დრო ვერ წაშლის შენს ხსოვნას ჩემს ოჯახში.

ზაზა, ზვიად, ირაკლი ზაქარეიშვილების დედა ნანა დარჩიაშვილი

დას, ქალბატონ რუსიკოსა და მთელ ნათესაობას ვუსამძიმრებ უკეთილშობილესი და სათნო პიროვნების, ქალბატონი

ლალი ბადურაშვილის

გარდაცვალების გამო.

იბო დოლიძის ოჯახი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 2. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 3. ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ამერიკული საიუველირო ფირმა; 6. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 7. შუამავალი ბირჟაზე; 11. მდინარე სვანეთში; 13. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 14. წნული ქოხი სამეგრელოში; 15. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 16. აშშ-ის ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 17. შუა აზიასა და ავღანეთში გავრცელებული გარეული ვირი; 19. ეკლესია-მონასტრებისთვის შემომწირველთა გვარ-სახელების სარეგისტრაციო ძველებური დავთარი; 20. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი.

თარაზულად: 1. ალუმინის შემცველი მადანი; 4. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 8. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული კერძი; 10. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 12. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 14. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 15. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 16. ფასიანი ქაღალდი; 18. იტალიური სამოდელი ფირმა; 21. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 22. კათოლიკე სასულიერო პირების საქოჩრეზე მოპარსული არე; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რეფორმა; 2. ტრანზიტი; 3. აზურიტი; 5. კომბაინი; 7. ოგინსკი; 9. მილენიუმი; 13. სინდიყი; 15. დეფილე; 16. პლისკა; 18. ბრიხი.

თარაზულად: 4. ბედეკერი; 6. შარტრეზი; 8. პოტამოლოგია; 10. ვანდომი; 11. ლოტი; 12. აკორდი; 14. იდიში; 17. გეიმი; 19. სფერო; 20. ესპანური; 21. იენი; 22. ტერმინალი; 23. ჰილტონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მერსიე; 2. ლვოვი; 3. ზული; 5. კომუნა; 6. სუეცი; 7. არლანდა; 11. რაინდი; 13. კრაზანა; 14. ბონზა; 15. ტუგრიკი; 16. ხორბალი; 17. ნადალი; 19. ოპეკი; 20. ტატო.

თარაზულად: 1. მალხაზი; 4. ფურკა; 8. ლორდი; 9. მონე; 10. სკვერი; 12. თარხანი; 14. ბონო; 15. ტაქსაცია; 16. ხუნდი; 18. ბორდო; 21. დუნაი; 22. ლიპტონი; 23. კალიბრი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 თებერვალი

აშშ დოლარი — 2.8577	ევრო — 3.1498
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7327	100 რუსული რუბლი — 4.5155

ამინდის პროგნოზი 6 თებერვლისთვის



28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ლალი ბადურაშვილს შვილის გვერდით დაკრძალავენ

81 წლის ასაკში გარდაცვლილ ლალი ბადურაშვილს შვილის, რეჟისორ ერეკლე ბადურაშვილის, გვერდით დაკრძალავენ.

თბილისის მერიამ მსახიობის ოჯახს მისი მახათას მთაზე, ახალ პანთეონში დაკრძალვა შესთავაზა, მაგრამ, ოჯახის გადაწყვეტილებით, ლალი ბადურაშვილს შაბათს საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალავენ.

ალექსანდრე ზაზარაშვილი ფილადელფიაში იმღერებს

უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრე ზაზარაშვილი ფილადელფიაში გამართულ კონცერტზე იმღერებს.

8 მარტს ქართველი ოპერის მომღერლის დავით ღვინიანიძის მიერ დაარსებულ ცენტრს ერთი წელი უსრულდება. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გაიმართება სპეციალური კონცერტი. კონცერტი დავით ღვინიანიძის ცენტრის იუბილესთან ერთად ქალბატონებსაც მიეძღვნება.

ფილადელფიაში გამართულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ დავით ღვინიანიძე, ალექსანდრე ზაზარაშვილი, მამუკა ჩაუშბა და ვაგო ოგანიანი.

ვანიკო გალუაშვილის სახელით უცნობი პიროვნება ფულს ითხოვს

ოპერის მომღერლის, ვანიკო გალუაშვილის, სახელით უცნობი პიროვნება ფულს ითხოვს.

მან სოციალურ ქსელში ვანიკოს სახელით, გვარითა და ფოტოებით შექმნა გვერდი, სადაც ოპერის მომღერლის მეგობრებს იმატებს და ფულს სთხოვს:

– ხალხო, ძვირფასო ხალხო. არ დაუმეგობრდეთ. დაბლოკეთ, აგინეთ ამ გაიძვერა სირბანჯოს. ჩემი სახელით ფულებს ითხოვს. რაც ამას გინება აქვს ახლა, რად ულირს, არ აცდეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 თებერვლისთვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. ** კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია..

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, რა არის „ბევრი ფული“?

– ბევრი ფულია, როდესაც ყველა გადასახადს ყოფნის.

•••

სამართლის გამოცდაზე სტუდენტი პროფესორს ეუბნება:

– ბატონო პროფესორო, სხვათა შორის „შპარგალკა“ ჩემ პირად საკუთრებას წარმოადგენს, თქვენ კი ის ყოველგვარი შესაბამისი პროცესუალურ-სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე ჩამომართვით!

– ეჰ, ახალგაზრდავ! მე ხომ მასწავლებელი ვარ და არა პოლიციელი. ხომ არ შემეძლო, სანამ „შპარგალკას“ ჩამოგართმევდით, ერთი ორი მომეცხო გვერდებში!

•••

ერთი მეზობელი მეორეს უყვება:

– ახლახან ქალაქში ვიყავი შვილთან. როდესაც გაზეთი ვთხოვე, მიპასუხა, მამა, რაღა დროს გაზეთია, ჩემი აიპადი აიღე...

– მერე?

– რა მერე, იმ საცოდავმა ბუზმა ვერც კი გაიგო, რამ მოკლა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრისტიანო რონალდუ 35 წლის გახდა



მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კრისტიანო რონალდუ 5 თებერვალს 35 წლის გახდა.

რონალდუს მიღწევებზე დიდხანს შეიძლება საუბარი, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს, ამიტომ იმით შემოვიფარგლოთ, რომ ამ ასაკშიც ის იუვენტუსის ლიდერია და ცდილობს, რომ მოედანზე ყველაზე დიდი სამუშაო შეასრულოს.

რონალდუ კარიერის დასრულებას არ აპირებს და მისი ორგანიზმი კიდევ დიდხანს გაუძლებს დატვირთვებს.

კრისტიანომ 5 ჩემპიონთა ლიგა და ამავე რაოდენობის ოქროს ბურთი მოიგო.

პოგბას მანჩესტერიდან წასვლა კვლავ სურს



პოლ პოგბას მომავალი მანჩესტერ იუნაიტედში კვლავ გაურკვეველია, რადგან ის კვლავინდებურად ცდილობს სხვა გუნდში გადასვლას.

გარდა ამისა, მისი ქცევით თანაგუნდელები უკმაყოფილოები არიან და პოგბას წასვლა სურთ, თუმცა ამის კატეგორიული წინააღმდეგია ოლე გუნარ სოლსკიაერი, რომელიც თვლის, რომ ფრანგი ნახევარმცველი აუცილებლად გუნდში უნდა დარჩეს.

პოგბამ იანვარში ოპერაცია გაიკეთა და ამჟამად ის რეაბილიტაციის კურსს გადის.

ლუკაკუ: „იბრაჰიმოვიჩს ასაკი საერთოდ არ ეტყობა“



რომელუ ლუკაკუმ ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეაქო და თქვა, რომ მას ასაკი საერთოდ არ ეტყობა მოედანზე და ის კვლავინდებურად ძალიან სასარგებლოა თავისი გუნდისთვის. ლუკაკუს აზრით, ზლატანი სხვა ფეხბურთელებისთვის მაგალითი უნდა იყოს:

– მე აღფრთოვანებული ვარ მისი თამაშით და მან იცის, თუ როგორ იყოს კარგ ფორმაში, მიუხედავად ასაკისა. ძალიან მინდა, რომ 38 წლის ასაკში ზლატანივით ვთამაშობდე. ის ყოველთვის ახერხებს ჩემს გაოცებას.

აღსანიშნავია რომ იბრა და ლუკაკუ მალე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს მოედანზე, რადგან 9 თებერვალს მილანი-ინტერია.

აზარი თითქმის გამოჯანმრთელდა

მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და უკვე უახლოეს მატჩებში ის შეძლებს თამაშს.

აზარმა ბოლოს 23 ნოემბერს ითამაშა და მას შემდეგ ის ტრავმირებულია.

ზიდანმა განაცხადა, რომ აზარის იმედი აქვს, თუმცა მას ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ვერ ექნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბასკონიას შანსი არ დარჩა

ესპანეთის ჩემპიონატში ნაჩვენები გმირობა, როცა ბასკონიამ მადრიდში რეალი დაამარცხა, თორნიკე შენგელიას გუნდმა ევროლიგაში ვეღარ გაიმეორა. არადა, ბასკონიელები წარმატებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, თუმცა ბოლო წამებზე შეხვედრა 1 ქულით – 69:70 დათმეს.

შენგელიამ 32 წუთში 12 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. შედეგად, მარგი ქმედების კოეფიციენტით (11) გუნდში მეორეა შილდსის შემდეგ. მეტ ჯენინგის ანგარიშზე 11 ქულა და 1 პასი დაგროვდა.

ბასკონიელებს 23 ტურის შემდეგ მხოლოდ 8 მოგება აქვთ და ფლეი ოფში გასვლის თეორიული შანსიღა შერჩათ. მომდევნო მატჩს შენგელიას გუნდი შინ ფრანგულ ვილერბანთან გამართავს.

გიორგი შერმადინის ტენერიფე იბეროსტარმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში დასანანი მარცხი განიცადა, რის გამოც პირველი ადგილის დათმობა მოუხდა. ესპანური გუნდი სტუმრად გერმანულ ბროზე ბამბერგს შეხვდა და დაძაბულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში 96:98 წააგო.

ტენერიფემ პირველ ტაიმი 4 ქულით დათმო, მაგრამ მატჩის ბოლო წამებზე გაათანაბრა და შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა, სადაც იგებდა კიდეც, მაგრამ ბროზემ თამაში შემოატრიალა და გამარჯვებაც მოიპოვა.

შერმადინმა 33 წუთი ითამაშა, რა დროშიც 15 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი დააგროვა. გიორგიმ 10-დან 6 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა, რითიც ტენერიფეში საუკეთესო იყო.

იბეროსტარ ტენერიფემ ჯგუფური ეტაპი მე-2 ადგილზე დაასრულა და ფლეი ოფში გავიდა. ესპანელებს ბოლო ტურში ჩეხურმა ნიმბურკმა გადაასწრო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ელენე ყიფშიძე 95 წლის გახდებოდა

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი ელენე ყიფშიძე 95 წლის გახდებოდა.

იგი მთელი ცხოვრება ქართულ კულტურას ემსახურა და თავისი განუმეორებელი სამსახიობო მონაცემებით მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

იუბილარი ხელოვანი რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაიხსენა:

– დიდი ქართველი მსახიობი ელენე ყიფშიძე 95 წლის გახდებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ის არათუ მრავალჯერ მინახავს სცენაზე, არამედ პარტნიორიც ვყოფილვარ „მშვიდობის დღესასწაულში“, „ვერაგობა და სიყვარულში“, „ნაცარქექიაში“, „ურიელ აკოსტაში“, მის აღდგენილ სპექტაკლშიც „ძველი ვოდევილები“ მითამაშია.

ჩემს პირველ სპექტაკლში „ქამუშაძის გაჭირვება“ გვერდში დამიდგა და უდიდესი გამოცდილება შემძინა ვარსკვლავ-მსახიობთან შემოქმედებითი ურთიერთობისა.

16 წელია ქალბატონი ლენა აღარ არის, თუმცა მისი შემოქმედების დავიწყება შეუძლებელია მათთვის, ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს სცენაზე. ხოლო ვისაც მასთან უმუშავია, მით უმეტეს, ვერასდროს დაივიწყებს.

ლანა ღოღობერიძეს მიხეილ თუმანიშვილის პრიზით დააჯილდოვებენ

91 წლის რეჟისორს ლანა ღოღობერიძეს ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის ფესტივალი „საჩუქარი“ მიხეილ თუმანიშვილის პრიზით დააჯილდოვებს.

ფესტივალის მესვეურთა გადაწყვეტილებით, ამავე პრიზის მფლობელები გახდებიან მწერალი აკა მორჩილაძე, რეჟისორები ქეთი დოლიძე და ავთანდილ ვარსიმაშვილი, ამერიკელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ქეროლინ კარლსონი და იაპონელი ხელოვანი უშიუ ამაგაცუ.

ფესტივალი „საჩუქარი“ ყოველწლიურად აჯილდოვებს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზით იმ ხელოვანებს, რომლებიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 2. ღვიძლის დაავადება; 3. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 5. ფინური ხალხური ეპოსი; 7. მუქთახორა, ზარმაცი ადამიანი; 9. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 13. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 15. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 16. თაღლითი ბანქოს თამაშში; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 4. მონასტერი რაჭაში; 6. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 8. საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე; 10. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 11. შაქრის ლერწმის არაყი; 12. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 14. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 17. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 19. იაპონური აბანო; 20. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. შემაგრებული ღვინო; 23. ბრძოლის წარმოების თეორია და პრაქტიკა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა